№144
(12 214)

21 ივნისი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

# პატარკაციშვილი, მადრიდის რეალი და მშვიდობის მატჩი



რეალის პრეზიდენტი რამონ კალდერონი და ბადრი პატარკაციშვილი

19 ივნისს ისრაელს ესპანეთის ჩემპიონი მადრიდის "რეალი" ეწვია და მშვიდობის მატჩში ებრაელი და პალესტინელი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ ნაკრებს შეხვდა. პრიმერა დივიზიონის ჩემპიონმა, რომელიც თელ-ავივში ქვეყნის პრეზიდენტის **შიმონ პერესის** მიწვევით იმყოფებოდა, 8:0 მოიგო. მადრიდელებს, საზეიმო დახვედრა თელ-ავივის სასტუმრო "დავიდ ინტერკონტინენტალში" მოუწყვეს. პირველად სიტყვით სწორედ შიმონ პერესი გამოვიდა. ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, რომ შეხვედრის ერთ-ერთი სპონსორი იყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ბადრი პატარკაციშვილი**. ბატონმა პატარკაციშვილმა განაცხადა: *"ეს არის მშვიდობისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი. მოვუწოდებ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს - მეტი ასეთი სახის მატჩი დაასპონსოროს"*. მშვიდობის მატჩში, რომლის დევიზი Let's make it Real იყო, პოკერი **გუტიმ** შეასრულა, **ნეგრედომ** - ჰეთ-თრიკი, ხოლო კაპიტანმა **რაულმა** ერთი გოლი გაიტანა. თამაშს 30 ათასი ადამიანი დაესწრო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გუშინ ლოკომოტივი-ამკარის მატჩში, რვათვიანი შესვენების შემდეგ, ფეხბურთს დაუბრუნდა საქართველოს ნაკრების მოთამაშე მალხაზ ასათიანი. მან მოედანზე ერთი ტაიმი დაჰყო

4 ინტერვიუ

# მალხაზ ასათიანი მოედანს დაუბრუნდა



ინტერვიუ
სანდრო
იაშვილთან
3



გიორგი შაშიაშვილს (37) შტურმში გადასვლის შანსი აქვს

# ლომაია დნეპრმა მიიწვია



საქართველოს ნაკრების მეკარის **გიორგი ლომაიას** უგუნდოდ ყოფნას, შესაძლოა, ახლო მომავალში დაესვას წერტილი. რამდენადაც გუშინ შევიტყვეთ, "კარლ ცაისიდან" წასული ლომაია უკრაინაშია და "დნეპრის" ხელმძღვანელობასთან აწარმოებს მოლაპარაკებას.

დნეპროპეტროვსკული კლუბის ოფიციალური ვებგვერდი ლომაიას სახელს ჯერჯერობით, არ ახსენებს, გიორგისთან დაკავშირება კი გუშინ ვერ შევძელით. ლომაიების ოჯახმა დაგვიდასტურა, რომ ეროვნული ნაკრების მეკარე მართლაც უკრაინაშია.

**დავით ცაბაძე**

# კანდელაკი კარლ ცაისში გადადის

თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, **ილია კანდელაკი** მომავალი სეზონიდან იენის "კარლ ცაისში" ითამაშებს. თითქმისო, ვამბობთ იმიტომ, რომ კონტრაქტი მხარეებს შორის ჯერ არ გაფორმებულა, თუმცა წინასწარი შეთანხმება მიღწეულია.

ქართველი მცველის ოდესიდან სავარაუდო აბარგების შესახებ "ლელო" ადრეც წერდა. გუშინ უკრაინული "ვესტი ოდესი" "ჩერნომორეცის" საკადრო ცვლილებებით დაინტერესდა და აღნიშნა, რომ კანდელაკი კარიერას "ჩერნომორეცში" აღარ გააგრძელებს: *"ეს თავად ფეხბურთელის გადაწყვეტილებაა, რადგან კანდელაკს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ აწყობს. ცნობილი ტელეწამყვანის (თიკა კანდელაკი) მოგვარე იძულებული გახდა დაეტოვებინა ოდესა და საქართველოში დაბრუნებულიყო. სავარაუდოდ, ახალ სეზონს იგი ერთ-ერთ უცხოურ კლუბში გააგრძელებს"*.

გუშინ ღამით თავად კანდელაკს დავუკავშირდით, რომელიც გავრცელებული ინფორმაციის მიუხედავად, კვლავაც ოდესაში იმყოფება და ბევრი საინტერესოც შევიტყვეთ.

**- გავიგეთ, რომ "ჩერნომორეციდან" წამოხვედით...**

- გათავისუფლების ფურცელი არ მოუციათ ჯერ, მაგრამ კლუბთან ყველაფერზე შევთანხმდი.

4



# შაშიაშვილმა შტურმში ითამაშა

"შტურმში" ტესტირებაზე მყოფი **გიორგი შაშიაშვილის** გვარმა გუშინ და გუშინწინ ავსტრიულ ვებგვერდებზე არაერთხელ გაიჟღერა. ქართველის გარდა გასინჯვაზე ავსტრიულ კლუბში კიდევ ორია - **მარკო სტანკოვიჩი** "ლეობენიდან" და **სამირ მურატოვიჩი** "გრაციდან". სამივე მათგანი მწვრთნელმა **ფრანკო ფოდამ** ადგილობრივ მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე "ჰარტბერგთან" გამოცადა.

"ჰარტბერგი", სადაც ქართველი ფორვარდი **გივი ჩხეტიანი** ასპარეზობს, "შტურმმა" დიდი ანგარიშით 7:2 დაამარცხა. ორივე ჩვენებური ძირითად შემადგენლობაში გახლდათ. როგორც ირკვევა, შაშიაშვილი ამ მატჩში მარჯვენა მცველის ფუქციას ასრულებდა.

*"შაშიაშვილმა მოედანზე 90 წუთი დაყო და ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. ის საიმედოდ გამოიყურებოდა და თავით თამაშით თანაგუნდელებს არა მარტო დაცვაში, არამედ შეტევისას დროსაც ეხმარებოდა. ამ მატჩში გამოჩნდა, რომ ქართველი მცველი სწრაფი აზროვნებითაც გამოირჩევა"*, - ამ სიტყვებით მოიხსენიებენ ავსტრიული წყაროები გიორგი შაშიაშვილს.

მაშ ასე, ქართველმა მცველმა პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარა. იმედია. ასევე გააგრძელებს და ავსტრიულ ბუნდესლიგაში დამკვიდრდება.

**დავით ცაბაძე**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ოთარ ხიზანეიშვილთან

# ტოპმიოლერმა, ძალიან მჭირდებიო

## ერთი წელიწადიც და უნდა წავიდე



ოთარ ხიზანეიშვილი 17 წლის იყო, პირველად რომ ითამაშა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. იოჰან ბოსკამპის ჟილას მას მერე ბევრი რამ გადახდა, თბილისის "დინამოდან" მოსკოვის "სპარტაკში" წავიდა, მერე ისევ "დინამოში" დაბრუნდა, შემდეგ კვლავ რუსეთი, მოსკოვის "დინამო"...

ორწელიწადნახევარია, ხიზანეიშვილი "ფრაიბურგშია", ის ნაკრებისთვისაც ერთობ ფასეული ფეხბურთელია, ეროვნულ გუნდში 17-ჯერ უთამაშია, რამეთუ ტრავმიანობამ ძალიან შეუშალა ხელი.

"ფრაიბურგი" და ნაკრები - ოთარი რედაქციაში გვესტუმრა და მეტწილად ამ თემებზე ვესაუბრეთ.

**- "ფრაიბურგიდან" ფოლკერ ფინკე წავიდა, ვინც ალბათ მხოლოდ მთავარი მწვრთნელი არ იყო კლუბისთვის, ის თითქოს "ფრაიბურგის" სიმბოლო იყო. მის ნაცვლად რობინ დუტი მიიწვიეს, ვინც მანამდე მხოლოდ მოყვარულთა გუნდებს წვრთნიდა. ერთი სიტყვით, რა ხდება "ფრაიბურგში", რა მიმართულებას ირჩევს კლუბი?**

- წინა სეზონის პირველი წრე "ფრაიბურგმა" სუსტად ჩაატარა, ფინკეს წასვლაზეც მაშინ ალაპარაკდნენ და საბოლოოდ, ასეც მოხდა. რომ არა პირველ წრეში ნაჩვენები ცუდი შედეგი, ფინკეს არ გაუშვებდნენ. მან თხუთმეტი წელიწადი იმუშავა "ფრაიბურგში". ახალ მწვრთნელზე კი ჯერ ვერაფერს გეტყვით, არ ვიცი, კლუბმა რატომ გააკეთა ასეთი არჩევანი. ფინკეს წასვლა კი არც ფეხბურთელებს უნდოდათ და არც "ფრაიბურგის" გულშემატკივრების უმეტესობას, მათ ფინკე კლუბიდან გასაშვებად არ ემეტებოდათ.

**- სეზონის დასრულების შემდეგ "ფრაიბურგიდან" ალექსანდრე იაშვილი და როდა ანტარი წავიდნენ - კიდევ ვინ აპირებს სხვა გუნდში გადასვლას?**

- წავიდა ნილს ჰანზენიც და შესაძლოა, კულიბალიც წავიდეს.

**- კონტრაქტი "ფრაიბურგთან" ერთ წელიწადში გეწურება. ერთი წელიეადიც და წავალ - ამ აზრზე ხარ?**

- მასეა, მთავარია, ჯანმრთელად ვიყო და რეგულარულად ვითამაშო. დროა, უფრო წინ წავიდე. ბოლო ორ წელიწადში ოთხი ოპერაცია გავიკეთე - ჯერ მუხლის ჯვარედინი იოგები და ხრტილი დავიზიანე, მერე კი სამჯერ მენისკი.

**- "ფრაიბურგში" ჯერჯერობით, ეული ქართველი ხარ, თუმცა არის შანსი, გუნდში ისევ ორი ქართველი იყოთ. 17 წლის გიორგი თარგამაძეს ფინკე კარგი თვალით კი უყურებდა, მაგრამ...**

- ფინკე წავიდა, მაგრამ "ფრაიბურგის" მოყვარულთა მწვრთნელი არსად წასულა და თარგამაძეთი ძალიან კმაყოფილია. თარგამაძე მალე 18 წლის გახდება, რაც მასთან კონტრაქტის გაფორმების საშუალებას იძლევა. იმედია, თარგამაძე ფრაიბურგელი გახდება და რამდენიმე თვეში პირველ გუნდში თამაშისთვის მზად იქნება. მისთვის ამ ეტაპზე მთავარი ის არის, რომ ფიზიკურად მოღონიერდეს.

**- ნაკრებზე გადავერთოთ. თებერვალში, თურქეთთან თამაშამდე კლაუს ტოპმიოლერმა განაცხადა, ხიზანეიშვილი ურუგვაისთან გამოვიძახეთ, არ ჩამოვიდა და არც უთქვამს, ეს რატომ ვერ მოახერხაო - რა იყო გაუგებრობის მიზეზი?**

- ურუგვაისთან მატჩის წინ სიცხე მქონდა, ამის შესახებ ნაკრების ხელმძღვანელობასაც ვაცნობე, ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცსაც დავურეკე, "ფრაიბურგმაც" გაუგზავნა ფაქსი ფედერაციას. რაც შეეხება ტოპმიოლერის ნათქვამს, მითხრეს, ჟურნალისტების შეცდომა იყოო...

**- ბოლო სანაკრებო მატჩზეც ვთქვათ. საფრანგეთთან ისე მოხდა, რომ მთელი სიმძიმე დაცვას დააწვა, რადგან ჩვენი ნაკრები ნახევარდაცვაში ფაქტობრივად, ვერაფერს ახერხებდა, შეტევაც, როგორც ასეთი, არ ჰქონია. რა მოხდა, როგორი იყო ტოპმიოლერის დავალება?**

- იმის მეურვეობა დამავალა, ვინც ჩემს ზონაში, დაცვის ცენტრში შემოიჭრებოდა. იქ ნიკოლა ანელკა იყო და მე და კახა კალაძე მას ვმეურვეობდით. თამაში კონტრშეტევაზე უნდა აგვეგო, მაგრამ ეს ვერ შევძელით. მთელი სიმძიმე დაცვას არ უნდა დასწოლოდა, თუმცა, რაც მოხდა, დიდად მოულოდნელი არ იყო. არ მახსოვს, საქართველოს ნაკრები ასე უშანსოდ ყოფილიყოს, როგორც ეს საფრანგეთთან მატჩში მოხდა.

**-გოლის მომენტში სამირ ნასრისთან არავინ იყო, არადა ჩვენს საჯარიმოში შვიდი თუ რვა ქართველი იყო და ორი ფრანგი და მაინც გავუშვით ბურთი...**

- რიბერიმ მარჯვენა ფლანგზე რომ გაილაღა, ეს იყო ჩვენი მთავარი შეცდომა, იმ ეპიზოდში რიბერიზე ჯარიმა მაინც რომ აგვეკიდებინა, ხიფათს გადავრჩებოდით.

**- ტოპმიოლერთან თუ გისაუბრია როდესმე პირისპირ?**

- ტომპიოლერი თამაშის წინა დღეს გუნდის ყველა ფეხბურთელთან საუბრობს, აინტერესებს თითოეული ფეხბურთელი თავს როგორ გრძნობს. ზოგადადაც მესაუბრა, ჯანმრთელად უნდა იყო, ძალიან მჭირდებიო.

**- რუსეთიდან აიბარგე და ევროპაში, გერმანიაში ნახვედი - ჯანმრთელობისა და იღბალის გარდა, ფეხბურთელს სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარიც სჭირდება...**

- მასეა, კარიერის გაგრძელებაზე ყველას თავისი აზრი აქვს, მაგრამ უკრაინის თუ რუსეთის საშუალო გუნდებში წასვლას ევროპის მეორეხარისხოვან გუნდში ყოფნა სჯობია. გერმანიაში უფრო კონცენტრირებული ვარ, ფეხბურთის სათამაშოდ ყველა პირობა მაქვს შექმნილი, გერმანული გარემო სულ სხვაა, ვიდრე რუსეთი.

**- ერთიც, ვინ არის ახლა საქართველოს ნაკრების დაცვაში მთავარი მოკარნახე, ვის შეჰყურებს დაცვა?**

- ხაზზე განლაგებული ოთხი მცველით ვთამაშობთ და არავის არ შევყურებთ, ოთხივე ერთმანეთს ვკარნახობთ. მთავარი მოკარნახე კი მეკარეა, რომელიც თანამედროვე ფეხბურთში, ფაქტობრივად, ლიბეროს ფუნქციასაც ითავსებს.

**დავით თავართქილაძე**



აშვეთია (32) ნესტას წინააღმდეგ

ლეგიონერი

# ანჟი, სატურნი თუ ისევ კარლ ცაისი?

ცოტა ხნის წინათ გაცნობეთ, მეორე ბუნდესლიგის "კარლ ცაისს" ეროვნული ნაკრების წევრები **მიხეილ აშვეთია** და მეკარე **გიორგი ლომაია**, რომ გამოეთხოვნენ. ისიც გაცნობეთ, რომ შესაძლებელი იყო აშვეთიას **ომარ თეთრაძის** გუნდში, "ანჟიში" ჩაემთავრებინა მიმდინარე სეზონი. თუმცა ჩვენს მიერ მოპოვებული ცნობის დადასტურება აქამდე ვერ მოვახერხეთ. გუშინ კი მშობლიურ ქუთაისში მცირე ხნით ჩასულ მიხეილ აშვეთიას დავუკავშირდით.

ჩვენი ინფორმაცია მართალი აღმოჩნდა. თეთრაძემ აშვეთიას მართლაც სთხოვა დახმარება, მაგრამ...

*"ომარ თეთრაძე ჩემი მეგობარია და მისი გუნდი პრემიერლიგაში აღზევებისთვის იბრძვის. ის მართლაც დამიკავშირდა და უმაღლესში გადასვლაში დახმარება მთხოვა. თუმცა ჯერჯერობით, საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია. რუსეთის პირველ ლიგაში, პირველი წრის დასრულებამდე 3 ტურია დარჩენილი. იქ წრეებს შორის პაუზა 10 ივლისამდე გრძელდება. სურვილი კი მაქვს მეგობრის გუნდს აღზევებაში დავეხმარო, მაგრამ ვნახოთ, 10 ივლისამდე მოვიფიქრებ და გადაწყვეტილებასაც მივიღებ"*, - აღნიშნა "ლელოსთან" საუბარში მიხეილ აშვეთიამ.

რაკი აშეთიას საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია, ჩანს, მას სხვა ვარიანტებიც აქვს: *"რუსულ ფეხბურთში კარგად მიცნობენ და ჩემი შესაძლებლობებიც იციან. მართლაც, რამდენიმე გუნდზეა საუბარი. მათ შორის გამოკვეთილი "მოსკვაა", "სატურნზეცაა" საუბრები და ვნახოთ".*

ფორვარდს რუსეთის გარდა უცხოური ვარიანტებიც აქვს:

*"კარლ ცაისი" კიდევ ერთხელ დამიკავშირდა. მართალია, მათ მიერ შემოთავაზებული პირობები ჩემთვის მთლად სასურველი არაა, მაგრამ ამ ვარიანტსაც არ გამოვრიცხავ. "პადერნბორნს" დათო სირაძესთან ერთად ჩემი გადაბირებაც სურდა, მაგრამ პირობების გამო, უარი ვუთხარი. მეორე ბუნდესლიგიდან სხვა კლუბებიც არიან ჩემით დაინტერესებული. ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონო".*

**დავით ცაბაძე**


# დელგადო მოამზადებს ფეხბურთელებს არგენტინაში

ედუარდო დელგადომ არგენტინაში მრავალი ფეხბურთელი მოამზადა, მათ შორის, თავისი ვაჟი მატიას დელგადო. მან ასპარეზობა დაიწყო არგენტინის "ჩაკარიტა ხუნიორსის" საფეხბურთო კლუბში, ხოლო შემდეგ კარიერა გააგრძელა შვეიცარიის "ბაზელში". გასული წლიდან, მატიას დელგადო ასპარეზობს თურქეთის "ბეშიქთაშში". მას კლუბთან გაფორმებული აქვს კონტრაქტი რამდენიმე მილიონ ამერიკულ დოლარზე.

ამჟამად, ედუარდო დელგადო არგენტინაში ამზადებს თენგიზ სულაქველიძის აკადემიადამთავრებულ ხვიჩა მურღულიასა და ქალაქ რუსთავის საფეხბურთო გუნდ "მამულის" ფეხბურთელ ვასილ აფციაურს.

ამა წლის ივლისიდან, დელგადო საქართველოდან არგენტინაში იწვევს 16-17-18 წლის პერსპექტიული ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს (18 კაცამდე). დელგადო ფეხბურთელებს მოამზადებს მაღალ დონეზე. მათ შეეძლებათ, ითამაშონ საქართველოს, არგენტინისა და ევროპის საფეხბურთო გუნდებში. აგრეთვე, დელგადოს მიერ მომზადებული ფეხბურთელები შეძლებენ, მაღალ დონეზე ითამაშონ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

არგენტინის მხარე ავიაბილეთების, ვიზების, ადგილზე ცხოვრების, ტრანსპორტის, კვებისა და მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს.

დაწვრილებითი ცნობებისთვის, ფეხბურთელებთან და მათ სპონსორებთან შეხვედრები იწარმოებს მისამართზე: თავისუფლების მოედანი, ლეონიძის ქ. 4 (ყოფილი კიროვის ქუჩა), დილის 11 საათიდან 13 საათამდე. ყოველდღე, კვირის გარდა.

**საკონტაქტო ტელეფონები: 92 10 60; 8 (99) 23-55-20.**
**ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან ამა წლის ივლისში.**
**იჩქარეთ, საბუთების გასაფორმებლად!**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დია უფრო ღია უნდას გახდეს

## მენტალიტეტი, არითმეტიკა და მისტიკა: ჰგავს ყენია ქინქლაძეს?

საფეხბურთო მილეთმა თავი უნდა მოიყაროს, გამორჩეულები გამორჩეულად უნდა დაჯილდოვდნენ, უნდა იგრძნონ, რომ მათ აფასებენ და მათი ჩაუქობისა ქვეყანამ უნდა გაიგოს.

პროფლიგის მიერ ორგანიზებული "დია 2007" პირველ რიგში ალბათ ამისთვის გაიმართა და პროფლიგა არცთუ ცოტა ფულს ხარჯავს ასეთი საღამოების ყოველწლიურად მოწყობაზე.

"დია" უკეთესი გახდა, თუნდაც იმიტომ, რომ წლეულს ითქვა, საქართველოს ჩემპიონატისა და საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენაში მონაწილეობა სპეციალისტებმა მიიღეს, კონკრეტულად უმაღლესი ლიგის გუნდების მწვრთნელებმა და კაპიტნებმა, A ლიცენზიის მწვრთნელებმა და კიდევ ვეტერანებმა,ოღონდ არ თქმულა, A ლიცენზიის რომელმა მწვრთნელებმა და რომელმა ვეტერანებმა; ვერც ის გავიგეთ, ვინ ვის მისცა ხმა და ვინ ვის რამდენი ხმით მოუგო. ასეთი კონფიდენციალობა რომ დარღვეულიყო, გამოკითხვა უფრო სოლიდური და მულამიანი იქნებოდა. გაისად პროფლიგა ალბათ ამასაც გაითვალისწინებს. ხოლო იმ სპეციალისტებს, რომლებსაც თავიანთი აზრის ღიად დაფიქსირების ერიდებათ, უფრო რთულად აქვთ საქმე - ზოგადად, მენტალიტეტის შეცვლა შეუძლებელი არ არის, მაგრამ ეს განსაკუთრებული შემთხვევაა.

მოულოდნელი არ ყოფილა პროფლიგის გამოკითხვის შედეგები. ჟურნალისტების ვერსიით ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელი, მეკარე, მცველი, ნახევარმცველი, თავდამსხმელი, ალმოჩენა და მსაჯი დასახელდნენ.

საუკეთესო მწვრთნელი **გიორგი ჩიხრაძე** გახდა, სამეულში მოხვდნენ **რევაზ ძოძუაშვილი** და **დუშან უჰრინი**. სამეულში ვერ მოხვდა **გიორგი კიკნაძე**, რომელმაც **ზაზა ზამთარაძესთან** ერთად გასულ სეზონში სამი გუნდი გაწვრთნა - "ოლიმპი, "ტორპედო" და "ლოკომოტივი" - და თუ მოპოვებულ ქულებს დავუჯამებთ, ნებისმიერ მწვრთნელზე მეტი დაუგროვდება.

ფეხბურთი მხოლოდ არითმეტიკა არ არის და არც მხოლოდ შედეგი, ფეხბურთი წარმოდგენაცაა, რომლითაც გულშემატკივარმა უნდა ისიამოვნოს. ასეთი სანახაობის შემქმნელი მწვრთნელი მეთვრამეტე ეროვნულ ჩემპიონატს ალბათ არ ჰყოლია.

ჩიხრაძე გაწონასწორებული პიროვნებაა და ვინც მწვრთნელში რეპუტაციას აფასებს, ჩიხრაძისთვის ხმის მიცემა არ დაენანებოდა. მისნაირი გაუსვრელი მწვრთნელი ბევრი არ არის. გემოვნების მხრივ კი ჩიხრაძის "ამერზე" კამათი მართლაც შეიძლება. ვფიქრობთ, თუ ჩიხრაძე გუნდის თამაშის სტილს შეცვლის, ის კიდევ უფრო საინტერესო მწვრთნელად წარმოჩინდება.

"ამერში" წავიდა საუკეთესო მეკარის პრიზიც. **ზურაბ ქვაჩახიამ** ჩემპიონატში 14 გოლი გაუშვა, ზესტაფონელმა **გიორგი ჭანტურიამ** - 11, ყველაზე ნაკლები, მაგრამ აქაც ის შემთხვევაა, როცა ფეხბურთი არითმეტიკა არ არის.

საუკეთესო მცველი ოლიმპელი **გიორგი ონიანი** 25 ივნისს იენის "კარლ ცაისში" ჩავა და თუ იქ დარჩება, ეროვნული ნაკრებისთვის კიდევ უფრო საინტერესო გახდება. **კლაუს ტოპმიოლერმა** ის ლიტვა-საფრანგეთთან გამოიძახა, თუმცა მოედანზე არ შეუშვა. ონიანი წლეულს იმითაც გამოირჩა, რომ ლამის ერთადერთი მცველი გამოდგა, დინამოელ **სანდრო იაშვილთან** გამკლავება რომ შეძლო.

საუკეთესო მცველთა სამეულში **გიორგი სეთურიძე** და **ნედ ზელიჩიც** მოხვდნენ."ოლიმპის" სეთურიძე თანამედროვე ფორმაციის ფეხბურთელად ყალიბდება, ონიანის დარად ისიც "კარლ ცაისში" ეშურება მოწყობას. ზელიჩი კი პირველ რიგში საკუთარი გამოცდილებით შეეწია "დინამოს" - მისი ალღო მნიშვნელოვნად განაპირობებდა დინამოური დაცვის მდგრადობას.

საუკეთესო ნახევარმცველი - **გიორგი დოლიძე**. ის "ამერის" შეტევათა ძრავაა. თუ შეაჩერებთ დოლიძეს, შეაჩერებთ "ამერს" - ხშირ შემთხვევაში ასე იდგა საკითხი. ამერელთა შეტევები მეტწილად დოლიძის ფლანგური გარღვევებით მწავდებოდა. მისი უმთავრესი კონკურენტები **დავით დილმელაშვილი** და **თორნიკე აფციაური** იყვნენ. მეორე წრისთვის "ვიტ ჯორჯიიდან" "დინამოში" გადასული დილმელაშვილი ისეთივე ეფექტური ვერ იყო, როგორც ყოფილ გუნდში. ოლიმპელმა აფციაურმა კი სეზონი სტაბილურად ჩაატარა, თუმცა ჟურნალისტების ხმები დოლიძეზე კარგად ვერ მიიზიდა.

საუკეთესო ფორვარდ **სანდრო იაშვილზე** იმდენი დაიწერა და ითქვა, ცოტა არ იყოს, უხერხულია კიდევ რაღაცის დამატება. სანდროსთვის ახლა გადამწყვეტი ეტაპია - დროა, ევროპული რანგის ფორვარდად ჩამოყალიბდეს, 22 წლისაა და თუ დროულად გამოიცვლის გარემოს, ეროვნულ გუნდში უფრო იოლად მოიპოვებს ადგილს.

**შოთა არველაძე** - მუხლის ქრონიკული ტრავმით, ვოლტარენითა და ნაირგვარი მედიკამენტებით გაჯერებული სისხლით, ნებისყოფით და სეზონში გატანილი 28 გოლით - 34 წლის ფორვარდი "დიას" მთავარი ლაურეატი ზედიზედ მეორედ შეიქნა.

და 17 წლის **ლევან ყენია**, სეზონის ალმოჩენა, ტექნიკური და სხარტი ცაცია პლეიმეიკერი, თითქოს **გიორგი ქინქლაძეს** ჰგავს, თითქოს ბურთს კარგავს და მერე მეტოქეს რეტს ასხამს - ღმერთმანი, ნიჭიერი ბიჭია...

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ სანდრო იაშვილთან

# ვინც არ უნდა შემიშალოს ხელი, მე მაინც ვითამაშებ!

სანდრო იაშვილმა პოკერი შეასრულა - მან სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი ოთხი ტიტული მოიპოვა: "სარბიელის" და პროფლიგის გამოკითხვებში საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი უჩვეულო უპირატესობით გახდა - ორივეგან, მეორეადგილოსნებს დიდი უპირატესობით გაასწრო. ამასთანავე, თბილისის "დინამოს" თავდამსხმელმა წლის ბომბარდირობა მოიპოვა და "დიაზე" სეზონის საუკეთესო თავდამსხმელადაც დაასახელეს.



სანდრო იაშვილისადმი ევროპული გუნდების ინტერესი უკვე გამოიკვეთა. ინტერესია ოთხი ქვეყნის გუნდიდან - ავსტრიული "რაპიდი", გერმანული "ფრაიბურგი", დანიური "ოდენსე" და შვეიცარიული "თუნი" სანდროს შესაძლო ტრანსფერს განიხილავენ. ეს უკანასკნელი გუშინ გახდა ჩვენთვის ცნობილი.

საკითხი ზაფხულში უნდა გაირკვეს. მართალია, სანდრო "დინამოსთან" ერთად ემზადება, მაგრამ თბილისის "დინამო" მის ტრანსფერს არ ეწინააღმდეგება და ფაქტობრივად, ამასთან შეგუებულიცაა.

ახლა დაინტერესებული კლუბებისგან ოფიციალურ წინადადებას ელიან, რათა თავდამსხმელი კლუბში ჩავიდეს. არაა გამორიცხული, საქმე "დინამოს" გერმანული შეკრების დროს გადაწყდეს.

სანდროს "დია 2007"-ის დაჯილდოების შემდეგ გავესაუბრეთ.

**- სანდრო, უპირველესად, გილოცავ საუკეთესო ფეხბურთელობას. ორივე ვერსიით პირველობა ყველასთვის სანატრელია.**

- დიდი მადლობა, ეს ჩემთვის პირველი აღიარება იყო და კიდევ უფრო ბედნიერი ვარ, რომ პრიზი სახალხოდ, ასეთ ლამაზ ცერემონიალზე გადმომეცა.

**- რამდენადაც ვიცით, შენით ოთხი კლუბია დაინტერესებული, "რაპიდი", "ფრაიბურგი", "თუნი" და "ოდენსე".**

- შვეიცარიელებზე პირველად მესმის, დანარჩენებზე კი... სანამ კონკრეტულად საქმე არ გადაწყდება, ამაზე საუბარი არ მინდა. ალბათ, არის ინტერესი.

**- საბოლოოდ როდის გაირკვევა საკითხი?**

- ალბათ, გერმანიის შეკრებაზე, უახლოესი ორი კვირის განმავლობაში.

**- როგორც ვიცი, გერმანიაში ჩამოდიან დაინტერესებული კლუბების წარმომადგენლები და იქ კიდევ ერთხელ დაგაკვირდებიან.**

- დიახ, მეც ასე ვიცი. თუ არ მეშლება, ზემოხსენებული გუნდები დამაკვირდებიან.

**- შენზე რომ იყოს დამოკიდებული, რომელს აირჩევდი?**

- ავსტრიაშიც კარგი იქნებოდა და დანიაშიც. გააჩნია, როგორი იქნება კონტრაქტის პირობები, რამდენწლიანი და ა.შ.

**- გერმანია არ გიხსენებია. "ფრაიბურგი" ნაკლებად სავარაუდოა?**

- არა, გერმანია გამომრჩა თორემ ამ გუნდს ჩემი დასაწუნი არაფერი სჭირს.

**- გვითხრეს, თითქოს, შენით მეორე ბუნდესლიგის "კობლენცი" დაინტერესდა, მაგრამ მწვრთნელს მიაწოდეს ინფორმაცია, კარგი ფეხბურთელია, თუმცა უხასიათოო და ამის გამო, შენი მიწვევა გადაიფიქრა. ეს სიმართლეს შეეფერება?**

- მსგავსი ხმები ჩემამდეც მოვიდა, მაგრამ მასზე საუბარი არ მინდა.

**- ვითომ ეს ყოველივე ჭორია?**

- ჩემგან ამაზე საუბარი უხერხულია. საერთოდაც, ვინც არ უნდა შემიშალოს ხელი, მე მაინც ვითამაშებ და გოლებით დავამტკიცებ, რომ თამაში შემიძლია.

**- მართალია, შოთა არველაძემ საკუთარ შემცვლელად დაგასახელა, მაგრამ დამეთანხმები, რომ ეს ძალიან რთული საქმეა.**

- შოთამ ისეთი კარიერა გაიარა, ისეთი ფიგურა იყო, ნაკრებისთვის იმდენი გააკეთა, რომ მის შემცვლელობაზე საუბარი მეუხერხულება კიდეც. თუმცა ჩემთვის შოთას სიტყვები ბევრს ნიშნავს და შევეცდები, ასეც მოხდეს. რა თქმა უნდა, ამას დრო სჭირდება. შეიძლება, მთლად შოთას დონის თავდამსხმელი არ ვიყო, მაგრამ საამისოდ უნდა ვიშრომო და დროთა განმავლობაში, შეიძლება, მეც გავაკეთო რამე.

## კობა ჟორჟიკაშვილი: სანდროა უხასიათო? არ დაიჯეროთ!

**დაბოლოს, ყურადსაღები ინტერვიუ თემაზე, რომლითაც ყველა დაინტერესდება. სანდროს ფეხბურთელობას არ უწუნებენ, მაგრამ კრიტიკოსები მის უხასიათობაზე საუბრობენ. ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი სანდროს მშვენივრად იცნობს და მისგან უკეთესად შევიტყობთ, რეალურად რას წარმოადგენს 22 წლის დინამოელი ფორვარდი.**

**- ბატონო კობა, შეგვიძლია, სადრო იაშვილზე გულახდილად ვისაუბროთ?**

- რა თქმა უნდა.

**- მართალია, რომ მას მძიმე ხასიათი აქვს და ახალგაზრდულ ნაკრებში ამიტომ არ იწვევდით?**

- ეს არის ტყუილი! სანდროს აქვს ისეთი ხასიათი, რაც ნებისმიერ ნაღდ სპორტსმენს უნდა ჰქონდეს. ვინც ამ ჭორებს ავრცელებს, მას სანდრო არ სცოდნია. ამაზე შემიძლია თავი დავდო. მისი მწვრთნელი ვიყავი საქართველოს 17 და 19-წლამდელთა, აგრეთვე ახალგაზრდულ ნაკრებებში და ის მოედანზეც და ცხოვრებაშიც პროფესიონალი, მებრძოლი და თავდადებულია. გამორიცხულია, მაქსიმალურად არ დაიხარჯოს და გულგრილად ითამაშოს. ნაკრებს ასეთი ფეხბურთელები სჭირდება და არა ინერტულები. არ მგონია, ეს სანდროს ცუდ ხასიათზე მეტყველებდეს.

**- აბა რატომ აძაგებენ?**

- სხვისი არ ვიცი და მე იაშვილთან პრობლემა არასდროს შემქმნია. გამოვიდეს კიდევ ვინმე და დაამტკიცოს, რომ ჩემსავით იცნობს მის ბუნებას და გავჩუმდები. ბოლოს და ბოლოს, იმ ჩემპიონატზე გახდა ერთ-ერთი ბომბარდირი, სადაც რონალდუ, რუნი, პოდოლსკი თამაშობდნენ და ახლაც ჩვენი ჩემპიონატის ბომბარდირი და საუკეთესო ფეხბურთელია. ხასიათებზე უკვე გითხარით, მისი ფეხბურთელობა ჩანს და თავდამსხმელს მეტს რას ვთხოვთ?

**- თქვენი აზრით, ის ახლა ნაკრებში მოხვედრას იმსახურებს?**

- ჩემი აზრით, სანდრო ნაკრებისთვის დიდი ხანია მომწიფდა და დროა, თავის გამოჩენის შანსი მიეცეს.

**მერაბ მამულაშვილი**


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
კავშირი ყველგან და ყოველთვის;
ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
სწრაფი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ქ. ახმეტის 14
ტელ.: 350 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



მალხაზ ასათიანმა გუშინ ლოკომოტივში ერთი ტაიმი ითამაშა

ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან

# ასათიანი დაბრუნდა!

## ქუთაისში ახალი მალხაზ ასათიანი იზრდება

რვათვიანი მოლოდინი დასრულდა – მალხაზ ასათიანი მოედანს დაუბრუნდა. გუშინ "ლოკომოტივისა" და "ამკარის" მატჩის მეორე ტაიმის დასაწყისისთანავე რკინიგზელთა თავკაცმა ანატოლი ბიშოვეცმა საქართველოს ნაკრების ლიდერი თამაშში ბრაზილიელი როდოლფოს ნაცვლად ჩართო. ასათიანი დაცვის ცენტრში დადგა, ნორმალურად ითამაშა, ერთხელ შეტევაშიც ჩაერთო ოსტატურად. მართალია, "ლოკომოტივი" პირველ ტაიმში მიღებული გოლით დამარცხდა, მაგრამ ბუნებრივია, სადღეისოდ ეს ნაკლებმნიშვნელოვანია.

86-ე წუთზე მალხაზმა კოჭლობა დაიწყო, მაგრამ შეხვედრა ისე ჩაამთავრა, მოედანი არ დაუტოვებია. გუშინ მასთან დაკავშირება ვერ შევძელით, მაგრამ ნესით, მას სერიოზული არაფერი უნდა სჭირდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიშოვეცი მესამე შეცვლას გამოიყენებდა.

ქვემოთ კი უკრაინულ პრესაში გამოქვეყნებულ ასათიანის საინტერესო ინტერვიუს გთავაზობთ. საუბარი "ამკართან" მატჩამდე შედგა.

**- მალხაზ, რატომ დასჭირდა ამდენი დრო თქვენს გამოჯანმრთელებას?**

- ასე მოხდა და ვერაფერს შევცვლი. ისე, მუხლი კარგა ხანია, აღარ მტკივა, ერთი ეგაა, ვარჯიშებზე ზოგჯერ არასასიამოვნო შეგრძნება მაქვს ხოლმე.

**- მოედანზე გასვლის შიში ხომ არ გაქვთ?**

- არა, შეიძლება ბევრ ფეხბურთელს ჰქონდეს მძიმე ტრავმის შემდეგ ორთაბრძოლის შიში, მაგრამ მე არაფრის მეშინია. შემეძლო, მოედანზე ოპერაციიდან ოთხ-ხუთ თვეში გავსულიყავი, მაგრამ ამდენი იმიტომ მოვითმინე, ტრავმის გამეორების რისკი მინიმუმამდე რომ დამეყვანა.

**- 90 წუთის სათამაშოდ უკვე მზად ხართ?**

- ალბათ, ჯერ არა... ამხელა დატვირთვას ორმხრივ მატჩებშიც კი არ ვილებ.

**- ამ რვათვიან პერიოდში სამედიცინო პროცედურების გარდა, რითი იყავით დაკავებული?**

- მოსკოვში ბევრი საინტერესო ადგილია, სადაც ადამიანი კარგად დაისვენებს – რესტორნები, კინოთეატრები. აი კაზინოსგან კი თავი შორს მიჭირავს. განა იმიტომ, რომ ფულის წაგების მეშინია, უბრალოდ, არ მიყვარს ასეთი ადგილები.

**- მოსკოვში თავს უკვე შინაურად გრძნობთ?**

- არა, ასე ვერ ვიტყოდი, უბრალოდ, შევეჩვიე. ახალი ჩამოსული რომ ვიყავი, ძალიან მიჭირდა, ახლობლები ძალიან მენატრებოდნენ და აქ ველარ ვძლებდი. თუმცა მალე მოსკოვშიც შევიძინე მეგობრები. პირველად მარატ იზმაილოვს დავუძმაკაცდი. თავისი ოჯახი გამაცნო, აქაურობასთან შეგუებაში ძალიან დამეხმარა. გოგიტა გოგუასთანაც ვახლობლობ, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ჩემს მშობლიურ ქუთაისს არაფერი მირჩევნია...

**- და რითია ქუთაისი განსაკუთრებული?**

- უძველესი ქალაქია, უძველესი ეკლესიებითა და სხვა ნაგებობებით. ბუნებრივია, ახალი სახლებიც დგას, ქუთაისში 250 ათასი ადამიანი ცხოვრობს.

**- საკუთარ სახლში ცხოვრობდით?**

- არა, ბავშვობა ჩვეულებრივ ბინაში გავატარე, მაგრამ ჩემი მშობლები ამჟამად სამსართულიან სახლში ცხოვრობენ, რომელიც მე ვაჩუქე. არაა დიდი სახლი, მაგრამ ძალიან ლამაზია. შესანიშნავი ბაღი აქვს, ვაზითა და ხეხილით. ყოველთვის ბევრი სტუმარი გვყავს.

**- თქვენ თუ გიყვართ ხალხმრავლობა?**

- რა თქმა უნდა. სიმღერა ნორმალურად გამომდის და თუ სხვა დაიწყებს, აუცილებლად ავყვები. თუ ძალიან ბევრი სტუმარი გვყავს, თავიდან სიმღერა მერიდება ხოლმე, მაგრამ სხვებთან ერთად აუცილებლად ვიმღერებ. სამზარეულოში კი არაფერი გამომდის, მხოლოდ კარტოფილისა და კვერცხის შეწვა ვიცი. სამაგიეროდ, დედაჩემი ქართულ კერძებს ბრწყინვალედ ამზადებს. საცივიც კარგი გამოსდის, ხაჭაპურიც და თონის პურიც. მოკლედ, ქუთაისიდან ყოველთვის წონაში მომატებული ვბრუნდები (იცინის).

**- მშობლები რას საქმიანობენ?**

- უკვე ხუთი წელია, აღარ მუშაობენ. მამა ადრე ინჟინერი იყო ქარხანაში, დედა კი ტელეგრაფში მუშაობდა. ახლა კი ჩემი და ჩემი ძმის ცხოვრებით ცხოვრობენ. ჩემი ძმა, გიორგი, ქუთაისში მცირე ბიზნესითაა დაკავებული, მეუღლე და ორი ვაჟი ჰყავს. უფროსი, ნიკა, სამი წლისაა, უმცროსი კი თვენახევრის წინათ დაიბადა და მალხაზი დაარქვეს. ვნახოთ, იქნებ ისიც ფეხბურთელი გახდეს.

**- თქვენი ძმა რატომ არ გახდა ფეხბურთელი?**

- იგი კალათბურთს თამაშობდა, ამ საქმეს მუხლის ტრავმის გამო შეეშვა.

**- როგორც ვიცი, თქვენს მშობლებს შესანიშნავი განათლება აქვთ. ამ მხრივ თქვენ როგორ გაქვთ საქმე?**

- სკოლა სამების გარეშე დავამთავრე, თქვენ წარმოიდგინეთ, რუსულში ოთხიანი მყავდა. აი ინგლისური კი ვერაფრით ავითვისე. მამაჩემს გაკვეთილებს რომ ვაბარებდი, სახელდახელოდ მოგონილ სიტყვებს ვეუბნებოდი. კაცი სიხარულით მეცხრე ცაზე იყო, ჩემმა ბიჭმა კემბრიჯში უნდა ჩააბაროსო. კარგა ხნის მერე მიხვდა, ინგლისურის ბაიბურში რომ არ ვიყავი და შავი დღე მაყარა.

**- ბავშვობაში ფეხბურთის გარდა, რა გიტაცებდათ?**

- ცხენით ჯირითი. მეგობრებთან ერთად მთებში დავდიოდი. სხვათა შორის, ცხენით არბატზეც მისეირნია, მაგრამ დიდი სიამოვნება ვერ მივიღე. ძალიან არაბუნებრივია, როცა ცხენით მიდიხარ და გზად ჯიპებსა და ლიმუზინებს ხვდები.

**- თილისმა თუ გაქვთ?**

- მეგობარმა დამიმზადა ტყავის ფსკვნილი, რომელშიც ქართულ ენაზე დაწერილი ლოცვაა ჩადებული. ჯვართან ერთად მას სულ თან ვატარებ.

**- გოგონებს ვახშამზე ხშირად იწვევთ?**

- ასეც ხდება ხოლმე. მოსკოვში ხომ უამრავი ლამაზი ქალბატონია. თუმცა ჩემი ოცნების ქალი ჯერ ვერ ვიპოვე, არადა დროა.

**- როგორი გოგონები მოგწონთ?**

- უკრაინელები! მეორე ადგილზე ქართველებს ვაყენებ, მესამეზე – რუსებს. დედაჩემი ჩემთვის იდეალური ქალია, ლამაზი და კეთილი. ახლა კი ისეთი დროა, ერთი შეხედვით შეიძლება ვერც მიხვდე, ქალს უყურებ თუ კაცს.

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

### თარიღი

**გიორგი თავაძე.** დაიბადა 21.06.1955, ლანჩხუთი. ფეხბურთი, მცველი. თამაშობდა ლანჩხუთის "გურიაში" (1972-78), თბილისის "დინამოსა" (1979-82) და ქუთაისის "ტორპედოში" (1983-84). ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული (1981). სსრკ უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 76 მატჩი (4 გოლი). სსრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1981). იყო ლანჩხუთის "გურიის" მთავარი მწვრთნელი (1996).

ლეგიონერი

# კანდელაკი: უკრაინიდან გერმანიაში

## ოდესა ბოლო ქართველმაც დატოვა

პირველი გვერდიდან

**- ანუ ჩერნომორეცი უპრობლემოდ გიშვებთ?**

- დიახ. მხოლოდ გათავისუფლების ცნობას ველოდები. აქ ისიც დაიწერა, თითქოს მე საქართველოში წამოვედი, მაგრამ დავრჩი იმიტომ, რომ ამ ფურცელს ველოდები.

**- მართალია, რომ კარიერის გაგრძელებას გერმანიაში აპირებთ?**

- დიახ, მართალია. გერმანელებსაც ველაპარაკე, ოდესელებსაც. ორივესთან გარკვეული მაქვს ყველაფერი.

**- თუ საიდუმლო არაა რომელ კლუბში მიდიხართ?**

- დასამალი არაა, მოლაპარაკება მქონდა "კარლ ცაისთან". არ მინდა ისე გაიგოთ, თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილია. როცა ხელს მოვაწერ კონტრაქტს, მაშინ ვიტყვი, რომ გუნდში ჩავირიცხე.

**- გასინჯვაზე ხომ არ გიწვევენ?**

- გასინჯვაზე საუბარი არც არის.

**- რამდენწლიან კონტრაქტზე შეთანხმდით?**

- აი ეს საკითხია სწორედ დასაზუსტებელი

აქვე "კარლ ცაისთან" დაკავშირებულ კიდევ ერთ ამბავზე მოგახსენებთ. იენური კლუბი ერთ-ერთმა არაოფიციალურმა ხელმძღვანელმა, **სერგეი კირიაკოვმა** დატოვა. ეს თავად კირიაკოვმა თქვა ორიოლის რეგიონულ გაზეთთან საუბრისას. არადა ქართველი ფეხბურთელების ტრანსფერი სწორედ მისი შუამდგომლობით შედგა. **მიხეილ აშვეთიასა** და **გიორგი ლომაიას** მენეჯერი **ახრიკ ცვეიბა,** რუსეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელის მეგობარია და მანაც ქართველებს უშუამდგომლა.

კირიაკოვი მეორე ბუნდესლიგის სხვა კლუბში გააგრძელებს კარიერას. ამის შემდეგ, საკითხავი იყო, რამე პრობლემა ხომ არ შეექმნებოდათ "კარლ ცაისში" გადასვლაზე ქართველ ფეხბურთელებს. შეგახსენებთ, რომ რუსთავის "ოლიმპის" მცველი **გიორგი ონიანი** და **გიორგი სეთურიძე** უახლოეს მომავალში უნდა გაემგზავრონ იენაში. ფეხბურთელებს გავესაუბრეთ და როგორც გვითხრეს, მათი გეგმები არ შეცვლილა, გერმანიაში 25 ივნისს გაემგზავრებიან.

თუმცა წინასწარი მონაცემებით, ორივე ფეხბურთელი რუსთაველებს ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე დაეხმარება. ასეთია "ოლიმპთან" დადებული კონტრაქტის პირობა.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი ნერგაძე

შესაძლო ტრანსფერი

# ნერგაძე ალმაათაშია

## დინამო დღეს დაბრუნდება

გასული სეზონის მეორე წრეში თბილისის "დინამოდან" "ბათუმში" განათხოვრებულმა **გიორგი ნერგაძემ** კარიერის გასაგრძელებლად ყაზახეთს მიაშურა.

ორი წლის წინათ ქუთაისის "ტორპედოდან" თბილისის "დინამოში" გადმოსულ გიორგი ნერგაძეზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. თუმცა ახალ კლუბში დამკვიდრებაში მას ტრავმებმა შეუშალა ხელი. გასული სეზონის მეორე წრეში "ბათუმში" განათხოვრებული ნერგაძე კვლავ გამოირჩა კარგი თამაშით, მაგრამ ის ჯერ კიდევ არაა ოპტიმალურ ფორმაში. **დუშან უჰრინს** კი მოახლოებული ევროტურნირების წინ მომზადებული მოთამაშე სჭირდება. შესაბამისად, კლუბსა და ფეხბურთელს შორის შეთანხმება შედგა, მათი გზები გაიყო. ნერგაძე ამჟამად "ალმაათაშია".

ამ გუნდმა გასულ სეზონში ჰოლანდიელ მწვრთნელ **ანტონიუს კორნლის იორის** თაოსნობით ქვეყნის თასი მოიპოვა. თუმცა მიმდინარე სეზონში ცუდი სტარტი ჰქონდა და ჰოლანდიელ სპეციალისტსაც კლუბთან გამოთხოვება მოუწია. იქიდან მოყოლებულ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას დროებით **გრიგორი ბაბაიანი** ასრულებს, რომელიც მანამდე ჰოლანდიელის თანაშემწე გახლდათ. ყაზახეთში პირველი წრის დასრულებამდე 2 ტურით ადრე, "ალმაათა" გათამაშების ცხრილში მე-7 ადგილზეა. ბაბაიანს საპრიზო სამეულში მოხვედრა აქვს მიზნად დასახული და ნერგაძეც გუნდის გაძლიერების მიზნით მიიწვიეს. ქართველი ფეხბურთელი უკვე შეუდგა "ალმაათაში" ვარჯიშს. მას მწვრთნელები აკვირდებიან, პარარელურად კი მოლაპარაკებები მიმდინარეობს მომავალი კონტრაქტის თაობაზე. დიდი შანსია, მან ხელშეკრულებას მალევე მოაწეროს ხელი. აღსანიშნავია ისიც, რომ უეფას თასის გათამაშებაში "ალმაათა" თბილისის "დინამოს" ერთ-ერთი პოტენციური მეტოქეა. ასე რომ, სულაც არაა გამორიცხული 29 ივნისს გასამართმა წილისყრამ სწორედ "დინამო" და "ალმაათა" დააპირისპიროს ერთმანეთს.

რაც შეეხება თბილისელთა მზადებას მოახლოებული ევროტურნირის წინ, გუნდმა ბაკურიანის შეკრება გუშინ დაამთავრა და დღეს ნაშუადღევს თბილისში დაბრუნდება. დუშან უჰრინმა და მისმა თანაშემწეებმა ბაკურიანში ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე ავარჯიშეს გუნდი. მწვრთნელი ფეხბურთელებს დღესვე ორად გაყოფს და ერთმანეთის წინააღმდეგ ათამაშებს. ტესტთამაშში "დინამოს" ხელმძღვანელობა ახალ ფეხბურთელებს, "ვიტ ჯორჯიის" მარცხენაფლანგელ **ოლეგ გველესიანს,** ძმებ **ვალტერ** და **პავლე ხორგუაშვილებსა** და კამერუნელ ფორვარდ **რეიმონდ ვუკუეს** დააკვირდება. გერმანიაში გამგზავრებამდე "დინამო" მშობლიურ ბაზაზე ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს. უჰრინის ბიჭები 23-ში "ლოკომოტივს", ხოლო, 25 ივნისს "ამერს" დაუპირისპირდებიან. 26-ში კი დინამოელები გერმანიას გაემგზავრებიან, სადაც 5 საკონტროლო შეხვედრას გამართავენ.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა


კრისტიან კივუ

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ვისი ჯილაა ჯილარდინო? იუვე თუ ფიორენტინა?

## მილანი: რაკი სუასო ნაყიდია, ჯილარდინო შეიძლება ზედმეტიც იყოს...

ამას წინათ, "მილანმა" და **ალბერტო ჯილარდინომ** თითქოს ყველაფერი გაარკვიეს. ფორვარდი კლუბისა და მწვრთნელისგან ნდობას ითხოვდა. "როსონერიში" ის ვერ გრძნობდა თავს ისე, როგორც საკუთარ სახლში. ვხედავ, რომ **კარლო ანჩელოტი** ყურადღებას არ მაქცევს და შეიძლება, სხვა წინადადებებზე ვიფიქროო. ანჩელოტიმაც არც აცია, არც აცხელა და - თუ წასვლა გინდა, ნადიო. საქმეში **ადრიანო გალიანი ჩაერია** და გადაწყდა, რომ ჯილარდინო მომავალ სეზონსაც "მილანში" გაატარებდა. ფეხბურთელი კმაყოფილი იყო - ეს უკვე სხვა საქმეაო, ათენის ფინალი და წყენა აღარ ახსოვდა.

მაგრამ ვითარება, შეიძლება, კიდევ ერთხელ შეიცვალოს. გუშინწინ, "მილანმა" **დავიდ სუასო** იყიდა. იყიდა იმისთვის, რომ თავდასხმა გააძლიეროს, თუ სათადარიგოთა სკამი? ალბათ, უფრო პირველი. ამიტომ, ჯილარდინოს საკითხი, ეტყობა, მაინც დადგება დღის წესრიგში. **რონალდო, ინძაგი, სუასო, ჯილარდინო, ოლივეირა, ბორიელო** - ესენი "მილანის" ფორვარდები არიან. მაგრამ არ დაგავიწყდეთ **კაკაც**. გარკვეულწილად, ის უკან დახეული თავდამსხმელია. ესეც არ იყოს, ანჩელოტის ფავორიტი სქემა ხომ ერთ სუფთა ფორვარდს ითვალისწინებს. ცხადია, ამ ექვსეულიდან ვილაც უნდა წავიდეს, შეიძლება, ორიც. სხვათა შორის, გალიანის ოლივეირაზეც აქვს ნათქვამი - "მილანში" რჩებაო. ბორიელოზე კი რა გითხრათ... მის სატრანსფერო წილში "სამპდორიაც" ზის და არაა გამორიცხული, გენუაში გაუშვან, მით უმეტეს, თუ იქ **ფაბიო კვალიარელას** ვერ შეინარჩუნებენ. მაგრამ ისიც გავიხსენოთ, რომ შარშან ბორიელოს დაბრუნება უშუალოდ ანჩელოტის კატეგორიული მოთხოვნა იყო. და ვინ იცის, რომ არა თებერვლის დოპინგ-სკანდალი, რომელმაც ბორიელო ორი თვით ჩამოაცილა ფეხბურთს, იქნებ ჯილარდინოზე მეტი სათამაშო დროც ჰქონოდა...

მოკლედ, წინა ხაზზე რჩება ოთხი ხელშეუხებელი - **კაკა, რონალდო, სუასო** და **ინძაგი**. სწორედ აქედან იღებს სათავეს ხმები, რომ ჯილარდინო, შეიძლება, "იუვენტუსს" მიჰყიდონ. ამ ფეხბურთელს ტურინული გრანდის გვერდით ყოველთვის ახსენებდნენ, თუმცა კი "ქალბატონს" მის ხელში ჩასაგდებად სერიოზულად არ უბრძოლია. ახლა, საქმე ასეა: დარჩება თუ არა **დავიდ ტრეზეგე** "იუვენტუსში"? ტურინელთა პრეზიდენტი **ჯოვანი კობოლი ჯილის** იმედი აქვს, რომ ფრანგთან კონტრაქტს გააგრძელებს. მაგრამ თავად ტრეზეგეს დარჩენა კატეგორიულად არ სურს. შესაბამისად, "სინიორა" ჯილარდინოს იბევებს. კობოლი ჯილი კი ამბობს: *"გალიანისთან ამ ფორვარდის თაობაზე არ გვისაუბრია. ჯილარდინო ძალიან კარგი ფეხბურთელი კია, მაგრამ არა მგონია, "მილანმა" გაყიდოს. ამიტომ, ჩვენ სხვა მხარეს ვიყურებით".*

არა მგონია, გაყიდოსო? და რომ გაყიდოს? უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში "იუვე" მოლაპარაკებებს დაიწყებს. ჯილარდინო 24 მილიონ ევროდ ფასობს. მართალია, **ვინჩენცო იაკუინტა** უკვე ტურინშია, მაგრამ სერია A-ში დაბრუნება იმას ნიშნავს, რომ ბრუნდება ამბიციაც. ტრეზეგე თუ წავიდა, მარტო იაკუინტა და **ალესანდრო დელ პიერო** ვერ გასწევენ ჭაპანს - **რაფაელე პალადინო** ახალგაზრდა და ახალი გამოწვევისთვის გამოუცდელია, **მარსელო სალაიეტაზე** არაფერს ვიტყვით, ბულგარელი **ვალერი ბოჟინოვი** "ფიორენტინაში" მიდის, კობოლი ჯილიმ გამორიცხა **ხულიო კრუსისა** და **ხავიერ სავიოლას** ტრანსფერები... ვინლა დარჩა? ჯილარდინო?

ამასობაში, ფლორენციიდან საგულისხმო ცნობა მოვიდა - **ალბერტო ჯილარდინოს** ყიდვა "ფიორენტინასაც" სდომებია. "ვიოლა" თურმე მზადაა, ფორვარდში 10 მილიონი გირვანქა გაიღოს, თუმც უკვე საეჭვოა, რომ "მილანი" ამ შეთავაზებას დათანხმდება - 10 მილიონი გირვანქა ძალიან ცოტაა, კიდევ 7 მილიონი უნდა დაამატონ. "ჩენელის" ცნობით, ფლორენციელებმა "როსონერის" უკვე ოფიციალური წინადადებითაც მიმართეს. ჯილარდინო **ჩეზარე პრანდელის** მოთხოვნაა. ის მას **ლუკა ტონის** შემცვლელად ესახება. ესეც არ იყოს, ისინი ჯერ კიდევ "პარმაში" თანამშრომლობდნენ. პრანდელის აზრით, "ჯილა" ერთ-ერთი საუკეთესო იტალიელი ფორვარდია. პირადად ფეხბურთელს, "იები" 4-წლიან კონტრაქტსა და სეზონურად 2.2 მილიონ გირვანქა ჯამაგირს ჰპირდებიან.


ალბერტო ჯილარდინო

ტრანსფერი

# და მაინც, კივუ ინტერში...

## გარიგება შედგა: მორატიმ პისარო მთლიანად რომას გადაულოცა

მას შემდეგ, რაც **დავიდ სუასო** ხელიდან გაუშვა, **მასიმო მორატი** დაფაცურდა და **კრისტიან კივუს** ტრანსფერის საკითხი რამდენიმე საათში მოაგვარა. ჰონდურასელი ფორვარდის გამო, მის იმიჯს სერიოზული დარტყმა მიაყენეს. "ინტერის" პრეზიდენტს სასწრაფოდ რაღაც უნდა ეღონა. კივუსთან დაკავშირებით, შეთანხმებას თითქოს გასულ კვირას მიაღწიეს, მაგრამ რიგი მიზეზების გამო, ტრანსფერი ეჭვქვეშ დადგა. ამ მიზეზთაგან, უმთავრესი იყო **დავიდ პისარო**, რომელზეც "რომასთან" მორიგება ვერ ხერხდებოდა. მოგეხსენებათ, ჩილელი ნახევარმცველის სატრანსფერო წილის 50 პროცენტს "ინტერი" ფლობს. "ჯალოროსი" ითხოვდა, კივუს სანაცვლოდ "ნერაძურის" პისაროზე უფლების 100 პროცენტი დაეთმო. თავის მხრივ, არც "ინტერს" სურდა ნიჭიერი ფლეიმეიქერის საბოლოოდ ხელიდან გაშვება...

...მაგრამ დრო არ ითმენდა. კივუსთვის "მილანიც" იყო ჩასაფრებული და ბოლო ინფორმაციით, "ბარსელონასაც" სურდა მისი გადაბირება. მორატი იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო. გუშინ ორი მნიშვნელოვანი საუბარი შედგა: ერთი მხრივ, "ინტერის" სატრანსფერო კონსულტანტ **გაბრიელე ორიალისა** და "რომას" სპორტულ დირექტორ **დანიელე პრადეს** შორის, ხოლო მეორე მხრივ, სატელეფონო ბაასი თავად მორატისა და რომაელთა ვიცე-პრეზიდენტ **როზელა სენსის** შორის.

ამგვარად, გადაწყდა: "რომა" თანახმაა, "უდინეზეს" ყოფილი მოთამაშე პისარო "ინტერისგან" 4.2 მილიონ გირვანქად გამოისყიდოს. ამის სანაცვლოდ, "ინტერი" დედაქალაქურ გრანდს კივუში 8.4 მილიონ გირვანქას გადაუხდის. რუმინელი მილანურ კლუბთან 5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. ხოლო "რომა", კივუში აღებული ფულიდან, ნახევარს "ლევერკუზენის" ბრაზილიელ მცველ **ჟუანში** დააბანდებს...

იუვენტუსი

# რეალი იუვეს მილიტოში ეცილება


გაბრიელ მილიტო

## თუ ტურინი არგენტინელს დათმობს, მადრიდიდან კანავაროს მიიღებსო. ტიაგო დადასტურდა, კოვაჩმა დორტმუნდს მიაშურა...

"იუვენტუსს" რომ "სარაგოსის" მცველ **გაბრიელ მილიტოს** შეძენა სურს, უკვე მოძველებული ამბავია. სურს ერთია, მაგრამ რამდენადაა ეს შესაძლებელი? მაგალითად, "იუვეს" გენერალურ მენეჯერ **ჟან-კლოდ ბლანს** დიდი იმედი აქვს, რომ გარიგება მომავალ კვირაში მოხდება. მაგრამ მომავალ კვირაში, შეიძლება, უკვე დაგვიანებული იყოს. საქმე ისაა, რომ არგენტინელი მცველისთვის ბრძოლაში, თუ ესპანურ გამოცემა as-ს დავუჯერებთ, "რეალიც" ერთვება. იგივე გამოცემა ამტკიცებს, რომ სამეფო კლუბის სპორტული დირექტორი **პრედრაგ მიატოვიჩი** მზადაა, დაიწყოს მოლაპარაკებები იტალიურ მხარესთან და მილიტოს სანაცვლოდ... **ფაბიო კანავარო** შესთავაზოს. რა თქმა უნდა, "კანა" ყველასთვის სასურველი მცველია, მაგრამ აქ სხვა გათვლაა: იტალიის ნაკრების კაპიტანი სექტემბერში 34 წლის ხდება, არგენტინელი კი მასზე მთელი 8 წლით უმცროსია. ასე რომ, "რეალს" უკანა ხაზის გაახალგაზრდავება სურს, მაგრამ იგივე სურვილი ამოძრავებთ ტურინშიც...

...და როგორ იქნება საქმე? ამბობენ, რომ "რეალიდან" **ფაბიო კაპელოს** წასვლა ავტომატურად მოასწავებს კანავაროს აბარგებასაც. მართალია, თავად ფეხბურთელი ამ ვერსიას უარყოფს, მაგრამ მასში სიმართლის მარცვალიც ჩანს. თუ მადრიდში **ბერნდ შუსტერი** დაჯდა, ის "თავის" ხალხსაც მოიყვანს. ალბათ, ასაკს ახალი მწვრთნელიც მიაქცევს ყურადღებას. კანავაროს აგენტ **გაეტანო ფედელეს** კი მისი კლიენტის იტალიური ტრანსფერი ნაკლებად რეალური ჰგონია: *"სამშობლოში დაბრუნება? არა მგონია, ეს მოხდეს. მადრიდში ფაბიო თავს კარგად გრძნობს და ვერც იმას ვიტყვი, რომ მისი მომავალი კაპელოზეა დამოკიდებული. ისე, ტურინიდან მას უკვე დაურეკეს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ კანავაროსთვის ჩემპიონობა მიელოცათ".*

თუ მილიტოს საქმე ჯერაც გაურკვეველია, "იუვენტუსში" დამაიმედებელი ინფორმაცია მიიღეს ლიონიდან, საიდანაც ტურინში ნახევარმცველი **ტიაგო მენდეში** აპირებს გადასვლას. ფრანგული კლუბის წარმომადგენელი **მარინო ფაჩოლი** ასეთ კომენტარს აკეთებს: *"ჯერჯერობით, ვერ ვიტყვი, რომ ტრანსფერის საკითხი მოგვარებულია. დარჩა რამდენიმე დეტალი, რომელიც უნდა განვიხილოთ და ვფიქრობ, შეთანხმებას აუცილებლად მივაღწევთ. დღეს კი შემიძლია ვთქვა, რომ ტიაგო უკვე ნახევრადიუვენტუსელია".*

ამავეს ადასტურებს "იუვეს" გენერალური მენეჯერი ჟან-კლოდ ბლანიც. რაც შეეხება ტრანსფერის საფასურს, საუბარია 12 მილიონ გირვანქაზე. აქვე დავძენთ, რომ 26 წლის პორტუგალიელს "მილანიც" უმიზნებდა. "ლიონში" ის 2005 წელს გადავიდა, მას შემდეგ, რაც "ბრაგა", "ბენფიკა" და "ჩელსი" მოიარა.

ამასობაში, **რობერტ კოვაჩმა** დორტმუნდის "ბორუსიას" მიაშურა. 33 წლის მცველი BVB-ში ყოველგვარი საზღაურის გარეშე გადავა. ვესტფალიური კლუბის ხელმძღვანელებმა გუშინ ტრანსფერი გაჩარხულად გამოაცხადეს. კოვაჩი "ბორუსიასთან" კონტრაქტს 2009 წლამდე გააფორმებს. მან იქ "რეალში" გადასული **კრისტოფ მეტცელდერი** უნდა შეცვალოს. დორტმუნდელები უპირატესობას **დავიდ როზენალს** ანიჭებდნენ, მაგრამ პსჟ-მ ამ უკანასკნელის სანაცვლოდ 5 მილიონი ევრო მოითხოვა, "დორტმუნდი" კი მხოლოდ 3.6 მილიონის გადახდაზე იყო ყაბულს. შავ-ყვითლებმა არჩევანი კოვაჩზე შეაჩერეს. მას ბუნდესლიგაში თამაშის გამოცდილება აქვს. როგორც იცით, "იუვეში" გადასვლამდე ის "ბაიერნის" ღირსებას იცავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ბომბარდირი

# ვან ნისტელროი, სამი სამყაროს გმირი

## ჰოლანდიელი მეგოლე ერთადერთია მსოფლიოში, ვისაც საუკეთესო ბომბარდირის ტიტული სამ სხვადასხვა ქვეყანაში აქვს მოგებული



რუუდ ვან ნისტელროი

კვირა საღამოს, შუაევროპული დროით ზუსტად 22 საათსა 51 წუთზე, **რუუდ ვან ნისტელროი** "სანტიაგო ბერნაბეუს" მოედანზე შევარდა, რათა თანაგუნდელებთან ერთად ეზეიმა "რეალის" 30-ე საჩემპიონო ტიტული. "მალიორკასთან" მატჩის 33-ე წუთზე მან ტრავმა მიიღო და მოედანი განზილებულმა დატოვა. ამით, მან იქვე დაკარგა შანსი, "ოქროს ბუცისთვის" თამაშის ბოლომდე ებრძოლა. საბოლოოდ, როგორც იცით, ეს ჯილდო **ფრანჩესკო ტოტის** დარჩა. მაგრამ ჰოლანდიელი მოტივაციას საფინალო სასტვენამდე ინარჩუნებდა: მიზანი უკვე პრიმერა დივიზიონის საუკეთესო სნაიპერის ტიტული იყო. თან, მისი გულისყური სამი მატჩისკენ იყო მიმართული: "სევილია"-"ვილიარეალი", "რეკრეატივო"-"სარაგოსა" და "ხიმნასტიკი"-"ბარსელონა". ბომბარდირობას მას **დიეგო მილიტო** ("სარაგოსა"), **ფრედერიკ კანუტე** ("სევილია") და **რონალდინიო** ("ბარსელონა") ეცილებოდნენ. სამივე ქალაქიდან თითქმის ერთდროულად მოვიდა ინფორმაცია: 22 საათსა და 52 წუთზე ვან ნისტელროიმ უკვე იცოდა, რომ ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. 25 გოლით ის პირველია, 23 ბურთი გაიტანა მილიტომ, 21-21 რონალდინიომ და კანუტემ. მაგრამ, რაც მთავარია, რუუდი გახდა პირველი ფეხბურთელი მსოფლიოში, ვინაც საუკეთესო ბომბარდირის ტიტული სამ სხვადასხვა ქვეყანაში მოიგო: 1998/99 წლების სეზონში, "ეინდჰოვენის" სახელით, მან 31 გოლი გაიტანა; ერთი წლის შემდეგ, ასევე "ეინდჰოვენში", 29-ჯერ დაამწუხრა მეტოქეები; 2001 წელს გადავიდა "მანჩესტერ იუნაიტედში" და ორ წელიწადში (პირველი სეზონი ტრავმის გამო ჩაუვარდა) პრემიერლიგაშიც პირველი გახდა 25 გოლით; და აი, 2007 წლის 17 ივნისს, ასევე 25 გოლით, ის უკვე ესპანეთის ჩემპიონატის ყველაზე მძლავრი "ბომბდამშენი" შეიქნა.

რაც შეეხებათ იმ ფეხბურთელებს, რომელთაც წლევანდელ სეზონამდე, ვან ნისტელროისთან ერთად, მთავარმეგოლის ჯილდო ორი სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატში ჰქონდათ მოგებული, მათი რიცხვი არცთუ დიდია. მოდით, ვნახოთ, ვინ არიან ისინი: **ჯონ ჩარლზი** ("ლიდსი" 1957, "იუვენტუსი" 1958), **მარკო ვან ბასტენი** ("აიაქსი" 1984 და 1987, "მილანი" 1990 და 1992), **რომარიო** ("ეინდჰოვენი" 1989 და 1991, "ბარსელონა" 1994), **რონალდო** ("ეინდჰოვენი" 1995, "ბარსელონა" 1997, "რეალი" 2004), **მარსიო ამოროზო** ("უდინეზე" 1999, დორტმუნდის" ბორუსია" 2002) და **კრისტიან ვიერი** ("ატლეტიკო" 1998, "ინტერი" 2003). დავაკვირდეთ ერთ საგულისხმო დეტალსაც: ამ ჯგუფიდან ოთხი (ვან ნისტელროისთან ჩათვლით) - ჰოლანდიის ჩემპიონატის ბომბარდირი იყო, ხოლო სამს - იგივე ვან ნისტელროის, ასევე რომარიოსა და რონალდოს, სნაიპერის ჯილდოები "ეინდჰოვენში" აქვთ მოგებული. აქედან დასკვნა, რომ ჰოლანდიის ჩემპიონატი ფორვარდებისთვის ნამდვილი სამოთხეა!

ვან ნისტელროი ესპანეთში მეორედ "დაიბადა". შარშანდელი სეზონი მისთვის ნამდვილი კოშმარი იყო. ის ველარ ხვდებოდა "მანჩესტერ იუნაიტედის" ძირითად შემადგენლობაში, მერე იყო ძალიან ცუდი მუნდიალი ჰოლანდიის ნაკრებისთვის, რომელშიც ერთ-ერთი უსახური ფიგურა ამ წერილის გმირიც გახლდათ. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ კი ვან ბასტენი მას ეროვნულ გუნდში აღარ იწვევდა... შეიძლება ითქვას, რომ "რეალში" გადასვლამ რუუდს კარიერა გადაურჩინა: მთავარი ბომბარდირის წოდება პირველივე ესპანურ სეზონში! ჩემპიონატის ბოლო 7 ტურში მან 10 გოლის გატანა შეძლო. საინტერესოა, რომ აქამდე, მადრიდული გრანდის ისტორიაში, სადებიუტო სეზონებში "პიჩიჩის" (ასე უწოდებენ ესპანეთში ბომბარდირს) ტიტული მხოლოდ **ალფრედო დი სტეფანოსა** და **უგო სანჩესს** აქვთ მოგებული. შესანიშნავი ათლეტური მომზადება და ფანტასტიკური საგოლე ინსტინქტი - ასე შეიძლება ჩავწეროთ ვან ნისტელროის სავიზიტო ბარათში, სადაც აგრეთვე უნდა მივუთითოთ, რომ ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა ჰოლანდიელმა კონსერვატორ **ფაბიო კაპელოს** სათამაშო სქემაც კი შეაცვლევინა...

მაგრამ ზემოთჩამოთვლილ თვისებებთან ერთად, არ შეიძლება, იღბალიც არ ვახსენოთ. ფრთოსანი ფრაზა - ბედი მხოლოდ ძლიერებს სწყალობთ - ამ შემთხვევაშიც გამართლდა, თუმცა სხვა საკითხია მორალი. გავიხსენოთ: 26 მაისს, "დეპორტივოსთან" მატჩის (3:1 "რეალის" სასარგებლოდ) წინ, ვან ნისტელროის ერთი გაფრთხილება აკლდა დისკვალიფიკაციამდე. ვიდრე **სერხიო რამოსი** გაიტანდა, რუუდმა ხელით ითამაშა. აი, რას ამბობს ამ ეპიზოდზე კიდევ ერთი ლეგენდარული ჰოლანდიელი **იოჰან კრუიფი**: *"მან ეს შეგნებულად გააკეთა. ის გოლი არ უნდა ჩათვლილიყო, ვან ნისტელროისთვის კი მსაჯს გაფრთხილება უნდა მიეცა და ამ შემთხვევაში, ის "სარაგოსასთან" მატჩს გამოტოვებდა"*.

"სარაგოსასთან" მატჩში კი ვან ნისტელროიმ ორი გოლი გაიტანა და "რეალს" ფრე მოუტანა, ფრე, რომელიც მერე გადამწყვეტიც აღმოჩნდა...

## ინტერი სკანდალში გაეხვა

მილანის "ინტერი" ფინანსურ სკანდალში გაეხვა. ორგანიზაციამ, რომელიც იტალიის საფეხბურთო კლუბების ფინანსებს თვალს ადევნებს, გამოაქვეყნა დასკვნა. მასში ვკითხულობთ, რომ 2005-06 წლების სეზონში მილანურმა გრანდმა განზრახ გაბერა რამდენიმე ტრანსფერის ღირებულება, რათა რეალურზე მეტი ფინანსური ბრუნვა ეჩვენებინა. მან ფიქტიური დოკუმენტაცია გამოიყენა იმ სეზონის სერია A-ში თამაშის უფლების მოსაპოვებლად. საბუთების გაყალბება რომ არა, "ინტერს", შეიძლებოდა, ვერ წარედგინა საკმარისი ფინანსური გარანტიები, რომელიც კლუბებს ჩემპიონატში მონაწილეობისათვის სჭირდებათ. ესე იგი, მას ტურნირში ვერ დაუშვებდნენ და შესაბამისად, "იუვენტუსის" დასჯის შემდეგ, სკუდეტოსაც ვერავინ გადასცემდა. სატრანსფერო თანხების გაბერვაში ადანაშაულებენ "მილანსაც". ბრალდებებზე პასუხის გაცემა **მასიმო მორატისა** და **ადრიანო გალიანის** მოუწევთ. "ინტერმა" უკვე გაავრცელა ოფიციალური განცხადება: *"უფლებამოსილნი ვართ, განვმარტოთ, რომ ჩვენს კლუბს ბიუჯეტის შედგენისას არასოდეს გამოუყენებია ფიქტიური დოკუმენტაცია. "ინტერის" სრულყოფილი და ამომწურავი ფინანსური საბუთები უკვე გადაგზავნილია მაკონტროლებელ ორგანოში შესასწავლად."*

## სვენს სიტიში ელოდებიან

**სვენ გორან ერიქსონს** "მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელობა შესთავაზეს. ტაილანდის ყოფილი პრემიერ-მინისტრი **ტაქსინ შინავატრა** იმედოვნებს, რომ კლუბს კვირის ბოლომდე შეიძენს. შემდეგ კი მწვრთნელობის კანდიდატებთან, მათ შორის, ერიქსონთან მოლაპარაკებებიც უფრო ინტენსიურად გაგრძელდება. სვენს შარშანდელი მუნდიალის შემდეგ არ უმუშავია. ის ინგლისის საფეხბურთო ასოციაციისაგან მაინც იღებდა კვირაში 50 ათას გირვანქას ნაადრევად განყვეტილი კონტრაქტის სანაცვლოდ. ასე რომ უმუშევრობის გამო მაინც და მაინც არ უნერვიულია. შვედი სპეციალისტი არ მალავს, რომ საკლუბო ფეხბურთში დაბრუნება სურს. თანაც მისი საკლუბო სამწვრთნელო კარიერა საკმაოდ წარმატებულია: მას სხვადასხვა დროს შვედეთის, პორტუგალიისა და იტალიის ჩემპიონობა აქვს მოგებული. მანჩესტერელმა მიმომხილველებმა "სიტის" ქომაგებს შორის სახელდახელო გამოკითხვა ჩაატარა. სურთ თუ არა მათ საყვარელი გუნდის სათავეში ერიქსონის ხილვა? ამ კითხვას გამოკითხულთა 70-მა პროცენტმა უარყოფითად უპასუხა. დანიშვნის შემთხვევაში, ბოლო ათწლეულში ის "სიტის" მეთერთმეტე დამრიგებელი გახდება. რაც შეეხება შინავატრას, ტაილანდის ხელისუფლებამ მას ანგარიშები დაუყადაღა. ყოფილ პრემიერს, რომელიც გასული წლის სექტემბერში სამხედრო გადატრიალების შედეგად დაამხეს, კორუფციაში ადანაშაულებენ. სხვათა შორის, ამ ბრალდებების გამო, არა ერთი ინგლისელი ჟურნალისტი გამოთქვამს შეშფოთებას. ისინი იმ თანხების წარმომავლობის დადგენას ითხოვენ, რომელიც "სიტის" შეძენას მოხმარდება.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# კაკა მზადაა რეალისთვის

## რეალი სატრანსფერო რეკორდის დამხობას აპირებს

**კაკა** "რეალში" ტრანსფერს არ გამორიცხავს. ეს ინფორმაცია ფეხბურთელის აგენტმა გაზეთ "ასს" მიაწოდა. სამეფო კლუბმა, ეს-ესაა, 30-ე მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონის ტიტული. მეორე დღესვე "რეალმა" ბრაზილიელს ისეთი კონტრაქტი შესთავაზა, რომ მასზე უარს ვერავინ იტყვის. აგენტი მადრიდელთა წინადადებას უპრეცედენტოს უწოდებს და ამბობს, რომ ასეთი პირობების უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია. ფინანსური დეტალები უცნობია, თუმცა მიმომხილველთა მტკიცებით, კაკას ტრანსფერი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში უძვირესი იქნება. ის დაამხობა "რეალის" მიერვე დამყარებულ სატრანსფერო რეკორდს. შეგახსენებთ, 2001 წელს მადრიდელებმა "იუვენტუსს" **ზინედინ ზიდანის** სანაცვლოდ 64 მილიონი დოლარი გადაუხადეს. კაკას ტრანსფერი მადრიდელთა პრეზიდენტ **რამონ კალდერონის** წინასაარჩევნო დაპირება იყო. ბრაზილიელმა გასული სეზონის ჩემპიონთა ლიგაში 10 გოლი გაიტანა და ამ ტურნირში თავისი გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. "რეალმა" ტრანსფერებზე მუშაობა სამი თვის წინ დაიწყო. მან უკვე გაუფორმა კონტრაქტი "დორტმუნდის" ცენტრალურ მცველს **კრისტოფ მეტცელდერს**. გერმანიის ნაკრების ვარსკვლავი მადრიდს თავისუფალი აგენტის სტატუსით მიაშურებს.

# მარტინსს კლავდნენ...

## ფეხბურთელს, რომელიც ნაკრებში თამაშზე უარს ამბობს, ნიგერიაში ტყვიებით პასუხობენ




ეს ამბავი ნიგერიის დედაქალაქ ლაგოსში მოხდა. "ნიუკასლის" ნიგერიელმა თავდამსხმელმა **ობაფემი მარტინსმა** საშინელი ღამე გადაიტანა. მან პოლიციას შეატყობინა, რომ ნიღბიანი განგსტერები დაესხნენ თავს, მის მანქანას ცეცხლი გაუხსნეს, ხოლო თანმხლები მეგობარი მხარში დაჭრეს. მარტინსის "მერსედესი" ტყვიებითაა დაცხრილული. 22 წლის "ობას" ეტყობოდა, რომ შოკში იყო. პოლიციაში ის ემოციურად საუბრობდა და ამტკიცებდა, რომ თავდამსხმელებს მანქანაში მსხდომთა განადგურება სურდათ. მას არ ჰგონია, რომ ბანდიტების მიზანი ქურდობა იყო: *"მათ არაფერი უკითხავთ, პირდაპირ სროლაზე გადავიდნენ. თავი ჯოჯოხეთში მეგონა. ეს ყველაფერი კინოგადაღებას ჰგავდა"*.

საშინელება დაიწყო იმ დროს, როცა მარტინსმა მანქანა ბენზოგასამართ სადგურთან, საკუთარ ბინასთან ახლოს გააჩერა. სამმა ნიღბიანმა მამაკაცმა ფეხბურთელის მანქანას ალყა შემოარტყა და სროლა ატეხა. დაზარალებულს, რომელიც იტალიაში გადის რეაბილიტაციას, უჭირს დეტალების გახსენება, მაგრამ მაინც ამბობს, რომ ისინი შემზარავად გამოიყურებოდნენ. იარაღის დანახვაზე მას "ნერვები გაეყინა". მიუხედავად ამისა, ფეხბურთელმა მაინც მოიკრიბა ძალა და ადგილიდან უკუსვლით გასვლა სცადა, მაგრამ იქ მეორე მანქანა დახვდა გაჩერებული. ალყაშემორტყმულ ნიგერიელ ფეხბურთელსა და მის მეგობარ **რემი ონიფედეს** ცეცხლი გაუხსნეს. ტყვიების წვიმისგან საქარე და გვერდითი მინები ჩაიმსხვრა. მარტინსი რემის გადაეფარა და ასე სცადა მეგობრის გადარჩენა, სანამ პოლიციელები გამოჩნდებოდნენ.

განგსტერებს მანქანის გატაცებაც არ უცდიათ, რამაც დაარწმუნა მარტინსი, რომ მათი მიზანი მისი მოკვლა იყო. მაგრამ მიზეზი? შესაძლოა, სამაგიეროს გადახდა რამდენიმე სანაკრებო მატჩის გამოტოვებისთვის. როგორ დააღწია თავი ამგვარ სიტუაციას, "ობას" დღემდე ვერ გაუგია. გადარჩენას ის ღმერთს უმადლის.

ნიგერიელს მიაჩნია, რომ ლაგოსში თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობს, რადგან გამორიცხული არ არის, თავდასხმა განმეორდეს. მარტინსი თვლის, რომ დიდი პატივია მშობლიური ქვეყნის უმთავრეს გუნდში თამაში, ხალხისთვის სიამოვნების მინიჭება, მაგრამ მას და მის ოჯახს უსაფრთხოების გარანტია უნდა ჰქონდეთ: *"თუ ეს გარანტია არ იქნა, სამშობლოში დაბრუნება არაფრად მიღირს. ახლა უკვე სერიოზულად ვფიქრობ, ოჯახი ევროპაში წავიყვანო"*.

დავით ჩუბინიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფაბიო კაპელო და იკერ კასილიასი ნანატრ ჩემპიონობას ზეიმობენ

რეალი

# კაპელო ფეხბურთელებს სევდიანად დაემშვიდობა

## ისრაელში ყოფნისას იტალიელი სპეციალისტი სამეფო კლუბის დირექტორებს ახლოსაც არ გაკარებია...

ტრიუმფალური სეზონის შემდეგ, მადრიდის "რეალის" ფეხბურთელები შვებულებაში გავიდნენ. ბოლო ორთაბრძოლა სამეფო კლუბმა ისრაელში ჩაატარა. "შეხვედრა მშვიდობისთვის" - ესპანური გრანდი სწორედ ჰუმანიტარული მისიით იმყოფებოდა თელ-ავივში. თამაშის დასრულებისთანავე ესპანელები სამშობლოში დაბრუნდნენ. ფეხბურთელებს **ფაბიო კაპელოც** ახლდა. მათთან დამშვიდობებისას ჟურნალისტებს ეჩვენათ, რომ იტალიელი სპეციალისტი ძალიან სევდიან განწყობაზე იმყოფებოდა. *"ნახვამდის, დიდი მადლობა ყველაფრისთვის"*-ასეთი გახლდათ კაპელოს ბოლო სიტყვები. "რეალი" მომავალი სეზონისთვის 20 ივლისს დაიწყებს მზადებას. სინიორ ფაბიოს მადრიდში დასაბრუნებელი ბილეთი დაჯავშნული აქვს, მაგრამ მიმომხილველები დარწმუნებულები არიან, რომ ის დედაქალაქში აღარ ჩაფრინდება. მიზეზად **რამონ კალდერონის** მიერ მიღებულ, მაგრამ ჯერჯერობით, გაუხმაურებელ გადაწყვეტილებას ასახელებენ. ჩვენს კოლეგებს ეჭვი არ ეპარებათ, პრეზიდენტი აპენინელს თანამდებობიდან დაითხოვს და მის პოსტს **ბერნდ შუსტერს** ჩააბარებს.

ჟურნალისტები მადრიდში იმავე თვითმფრინავით დაბრუნდნენ, რომლითაც ფეხბურთელები და ხელმძღვანელები მგზავრობდნენ. ბუნებრივია, ყველას სურდა, კალდერონს გასაუბრებოდა, მაგრამ კლუბის უმაღლესმა ხელისუფალმა მასმედიელთა უმორჩილესი თხოვნა არ დააკმაყოფილა. "დიარიო ასის" თანამშრომლის **ბერნარდო გუტიერესის** შეუპოვრობამ კალდერონს წონასწორობაც კი დააკარგვინა. ბატონმა რამონმა კორესპონდენტს დაუყვირა, ან თავს დამანებებ, ან ჩვენი უსაფრთხოების სამსახურის შეფთან გექნება საქმეო. გუტიერესს ისღა დარჩენოდა ევარაუდა: თუ კაპელოს ტოვებენ, ინტერვიუზე უარს რატომ იტყოდაო. მოკლედ, პრეზიდენტის გაცეცხლებამ საფეხბურთო საზოგადოება კიდევ უფრო დაარწმუნა, რომ შუსტერის დანიშვნა მხოლოდ დროის საკითხია.

გუშინ ვსაუბრობდით, რომ კალდერონი **პრედრაგ მიატოვიჩზე** აპირებს ხელის შეწმენდას. სამეფო კლუბის ბოსმა გარკვევით თქვა, ყველაფერი პედიაზეა დამოკიდებული. როგორც მირჩევს, ისე მოვიქცევიო. ამ გამოსვლის შემდეგ მიატოვიჩი ყველასთვის სასურველი რესპონდენტი გახდა. ჩერნოგორიელმა ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ პრესისთვის თავი აერიდებინა, მაგრამ კალდერონისგან განსხვავებით, ის ბევრად იოლად დასამარცხებელი რესპონდენტი აღმოჩნდა. პრედრაგთან მიკიბვ-მოკიბვით საუბარს არავინ აპირებდა. ჩვენს კოლეგებს არ გამოპარვიათ, რომ ისრაელში ყოფნისას კაპელო თითქმის არ იღიმებოდა. გუნდის ხელმძღვანელებთან კონტაქტს გაურბოდა. სრულიად მარტო დადარდიანებული და ღრმად ჩაფიქრებული დადიოდა. ერთი საინტერესო შემთხვევის შესახებაც დაწერეს. თელ-ავივის აეროპორტში "რეალის" მესვეურები დაახლოებით ათი წუთით ძალიან პატარა ფართის ოთახში მოხვდნენ. მიატოვიჩისა და კალდერონის ახლოს რამდენიმე სკამი იყო თავისუფალი, მაგრამ კაპელო ორი რიგით უკან, საკმაოდ მოშორებით დაჯდა. დონ ფაბიომ შემდეგ ჟურნალისტები შემოიკრიბა და მათთან ერთად იმ დღის გაზეთებს გადაავლო თვალი. სათაურები ერთმანეთზე უფრო მძაფრი და მწვავე იყო: *"შუსტერი "რეალის" მომავალი მწვრთნელია"*, *"კალდერონი კაპელოს სახლში უშვებს"*, *"პრეზიდენტს გადაწყვეტილება მიღებული აქვს, იტალიელი თამაშგარეში აღმოჩნდა"*. ამ ყველაფრის წაკითხვის შემდეგ კაპელომ ერთ-ერთ ჩვენს კოლეგას ირონიულად უთხრა, მგონი, ჩემი აქ ყოფნა დიდი გაუგებრობაა. ალბათ, ზედმეტი ვარო...

სინიორ ფაბიო კალდერონსა და მიატოვიჩს შემთხვევით თვალში რომ არ შეჩხეროდა, განზე დგებოდა და მზერა მუდმივად მათი საწინაალმდეგო მიმართულებით ჰქონდა მიპყრობილი. ერთადერთი, ვისაც გამოელაპარაკა, **რაული** გახლდათ. მწვრთნელი ფეხზე იდგა, კაპიტანი კი სავარძელში იყო გართხმული. ჰო, **ემერსონს** მეგობრულად გაეხუმრა, თუმცა ეს ბევრს არც არაფერს ნიშნავს. ბრაზილიელი ხომ ყოველთვის მისი ფავორიტი იყო. თამაშის დასრულების შემდეგ "რეალი" ისრაელის პრეზიდენტმა **შიმონ პერესმა** რეზიდენციაში დაპატიჟა. კაპელო კვლავ უკან იდგა. პერესმა იტალიელს სთხოვა, აქეთ მობრძანდით, რომ სამახსოვრო ფოტო გადავიღოთო. დონ ფაბიო დიპლომატიურად იღიმებოდა და ფეხს ითრევდა, მისი ალმატებულების გვერდით ხომ რამონ კალდერონი იდგა. "რეალის" მწვრთნელი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩდა. იძულებული გახდა, ფოტოს გადასაღებად მისულიყო, მაგრამ კალდერონს ახლოსაც არ მიკარებია. დონ ფაბიო, რა თქმა უნდა, შიმონ პერესის გვერდით დადგა. განა ეს ყველაფერი იმაზე არ მიუთითებს, რომ "განქორწინება" გარდაუვალია?

*"გვეგონა, რომ 10 ათასი მეტრის სიმაღლეზე მყოფი ადამიანი უფრო გულწრფელი იქნებოდა. მოლოდინი მხოლოდ ნაწილობრივ გაგვიმართლდა, რადგან მიატოვიჩმა კარტები ბოლომდე არ გახსნა"*, - წერდა ისრაელში საგანგებოდ მივლინებული "დიარიო მარკას" კორესპონდენტი. როგორც გითხარით, მადრიდული გრანდის გენერალური დირექტორი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ განცხადება არ გაეკეთებინა. მან ხან თავის ტკივილი მოიმიზეზა, ხან თავი მოიმძინარა. შემდეგ ტუალეტში თითქმის ნახევარი საათით ჩაიკეტა, მაგრამ ბოლოს მიხვდა, რომ თვითმფრინავში გამოკეტილი დაგეშილ ჟურნალისტებს თავს ვერც ერთ შემთხვევაში დააღწევდა. მას კაპელოს მოგზაურობის იმ უცნაურ ეპიზოდებზე ჰკითხეს, რომლებზეც ეს-ესაა მოგახსენეთ. მიატოვიჩმა ძირითადად, დემაგოგიური სულისკვეთებით ისაუბრა, თუმცა მის განცხადებაში დღეისთვის ყველაზე აქტუალურმა და საინტერესო თემამაც გაიჟღერა: *"დიდი ხნის წინათ შევთანხმდით, რომ ისრაელში ჰუმანიტარულ შეხვედრაში მივიღებდით მონაწილეობას. ებრაელების მასპინძლობით ძალიან კმაყოფილი ვარ. შესანიშნავი დღე გვქონდა. მიხარია, რომ კეთილი საქმე გავაკეთეთ. რადგან თავს არ მანებებთ, რამდენიმე სიტყვით იმ საკითხზეც მოგახსენებთ, რომელიც დღეს ყველას ყველაზე მეტად აინტერესებს. პრეზიდენტმა თქვა, რომ ერთი კვირა უნდა მოვითმინოთ. აბსოლუტურად იგივეს გავიმეორებ. გვადროვეთ ზუსტად შვიდი დღე. "რეალი" მომავალ სეზონში კიდევ უფრო დიდი მიზნებისთვის იბრძოლებს. აქედან გამომდინარე შემიძლია მოგახსენოთ, რომ გუნდს აუცილებლად ეყოლება მწვრთნელი. რომელი?! ამას ჯერ ვერ ვიტყვი, თუმცა მერწმუნეთ, ის ძლიერი სპეციალისტი იქნება."*

ამ განცხადების წაკითხვის შემდეგ შეუძლებელია, აზრი არ გაგიჩნდეს, რომ კაპელო მიატოვიჩსაც ფეხებზე ჰკიდია. მართლაც, ის განწირული რომ არ ჰყავდეთ, ამდენი მიკიბ-მოკიბვა რა საჭირო იქნებოდა?!

მთავარი მწვრთნელი გუნდის ფუნდამენტია. უდავოა, ესპანური გიგანტის ხელმძღვანელობა გადაწყვეტილებას მალე მიიღებს. მანამდე კი ისინი ფეხბურთელების ტრანსფერებზე იმუშავებენ. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამეფო კლუბი **გაბრიელ მილიტოსთან** თანამშრომლობით დაინტერესდა. მიატოვიჩმა ამის შესახებ ოფიციალურად განაცხადა. "სარაგოსის" მესვეურები სიახლეს გაგებით შეხვდნენ. ისინი მოლაპარაკებებში სიამოვნებით ჩაერთვებიან და არგენტინელ მცველს უპრობლემოდაც გაყიდიან, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სანაცვლოდ 18 მილიონ ევროს მიიღებენ. გემახსოვრებათ, მილიტო ესპანეთში სწორედ სამეფო კლუბმა ჩაიყვანა, მაგრამ გაბის მაშინ დიდი უსიამოვნება შეემთხვა. დედაქალაქელმა ექიმებმა სამედიცინო შემოწმების შემდეგ **ფლორენტინო პერესს** ურჩიეს, ფული არ გადაეხადა, რადგან სამხრეთამერიკელი მუხლის ქრონიკული ტრავმის მქონედ მიიჩნიეს. მილიტომ თავშესაფარი "სარაგოსაში" ჰპოვა და დაიფიცა, როგორც კი საშუალება მომეცემა, მადრიდელებზე შურს ვიძიებო. გაირკვა, რომ ამ კაცს არანაირი ტრავმა არ აწუხებდა. უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც არგენტინელი "სარაგოსის" ძირითად შემადგენლობაში, ფაქტობრივად, შეუცვლელად თამაშობს. პრეზიდენტი ახლაც პერესი რომ იყოს, წინასწარვე ვიტყოდით, რომ ტრანსფერი არ შედგებოდა, თუმცა "ბერნაბეუს" ოფისებში ახლა სულ სხვა ხალხი მუშაობს და მათ მილიტოსთან მისასვლელი პირი აშკარად აქვთ.

ამასობაში, **პაკო პავონმა** "ოლიმპიაკოსიდან" საინტერესო წინადადება მიიღო. ბერძნული კლუბის ხელმძღვანელობას მისი შეძენა სურს. "რეალის" მცველს კონტრაქტის ვადა 30 ივნისს ეწურება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კლუბის ბიუჯეტი მისი წასვლის სანაცვლოდ ერთ ცენტსაც ვერ მიიღებს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

## სავიომ თავს უშველა

17 ივნისს "სოსიედადი" 40-წლიანი პაუზის შემდეგ პრიმერა დივიზიონს გამოემშვიდობა. სანსებასტიანელმა ინჩასებმა ფიასკო დიდად განიცადეს. რა თქმა უნდა, ფეხბურთელებიც მეტისმეტად დამწუხრებულები იყვნენ, მაგრამ გულშემატკივრებისგან განსხვავებით, მათ საშუალება აქვთ, ბედნიერება სხვაგან ეძიონ. სოსიედადელთაგან თავშესაფარი პირველად **სავიომ** გამონახა. გუშინ ვეტერანმა ბრაზილიელმა "ლევანტესთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მიმომხილველები ფიქრობდნენ, რომ ოკეანისგაღმელი "ანოეტაზე" დარჩებოდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებმა საინტერესო წინადადება არ შეთავაზეს.

## ლოტინა დეპორტივოში?

მიუხედავად იმისა, რომ **მიგელ ანხელ ლოტინამ** "სოსიედადს" პრიმერა დივიზიონში ადგილი ვერ შეუნარჩუნა, მასთან თანამშრომლობის სურვილი "დეპორტივოს" პრეზიდენტს გაუჩნდა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ **აუგუსტო სესარ ლენდოირომ ხოაკინ კაპაროსი** შინ გაისტუმრა და **ლოტინას** ორწლიან კონტრაქტზე შეუთანხმდა. ოფიციალურ დოკუმენტს მხარეები უახლოეს დღეებში მოაწერენ ხელს. ლენდოიროს გამჭრიახობით "რეკრეატივოს" ხელმძღვანელობა იმედგაცრუებული დარჩა, რადგან მათ დიდი იმედი ჰქონდათ, რომ სენიორ მიგელ ანხელი ანდალუსიურ კლუბს ჩაიბარებდა.

## შტრელერი ბაზელში ბრუნდება

"შტუტგარტისა" და შვეიცარიის ნაკრების თავდამსხმელი **მარკო შტრელერი** "ბაზელში" ბრუნდება. ეს ინფორმაცია შვაბების გენერალურმა მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** დაადასტურა. 26 წლის აყლაყუდა ფორვარდი გერმანიის ჩემპიონთა ძირითადში ვერ ხვდება. ამიტომ ჰელდტს კონტრაქტის გაწყვეტა სთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო. VFB-ს მენეჯერის თქმით, მიღებული გადაწყვეტილებით ყველა კმაყოფილია. შტრელერი "შტუტგარტში" 2003 წელს გადავიდა (იმავე "ბაზელიდან"). მას მერე ბუნდესლიგაში 55 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 9 გოლი შეაგდო. ამრიგად, შტრელერის წასვლით, კიდევ უფრო ცხადი ხდება ის, რომ შვაბები ბრაზილიელ **ევერტონს** გადაიბირებენ.

ვალენსია

# ფლორესმა კარბონი იპონით დაამარცხა

## პრეზიდენტმა არჩევანი გააკეთა, ამადეო იტალიაში ბრუნდება, კიკე მუშაობას აგრძელებს...

"ვალენსიაში" დიდი ბრძოლა დასრულდა. **კიკე სანჩეს ფლორესმა ამადეო კარბონი** პირწმინდად დაამარცხა. დიდი ხანია ცნობილია, რომ მთავარ მწვრთნელსა და გენერალურ დირექტორს უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. როცა კიკე ფლორესი შემადგენლობის გაძლიერებას ითხოვდა, კარბონი ცინიკურად ამბობდა, ჩვენ ფანტასტიკური ფეხბურთელები გვყავს და ახალი ხალხი არაფერში გვჭირდებაო. გარდა ამისა, ეს ორი ადამიანი პრაქტიკულად, ვერც ერთ წვრილმანზე ვერ თანხმდებოდა. ბუნებრივია, ამ სიტუაციაში მუშაობის გაგრძელება შეუძლებელი იქნებოდა. რამდენიმე კვირის წინათ, "ვალენსიის" პრეზიდენტმა **ხუან ბაუტისტა სოლერმა** საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და დაუფარავად განაცხადა, რომ კიკე ფლორესის კვალიფიკაციას ეჭვქვეშ არ აყენებდა. პრეზიდენტმა მასთან ხელშეკრულების გახანგრძლივების სურვილიც გამოთქვა. სენიორ სოლერის სიტყვები ნათლად მოასწავებდა, რომ "ვალენსიაში" კარბონის ბევრი დღე არ დარჩენოდა...

და აი, გუშინ კლუბის პრესსამსახურმა იტალიელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა. ახალ გენერალურ დირექტორს დაახლოებით ერთ კვირაში დანიშნავენ. მთავარ მწვრთნელს კი კონტრაქტს ერთი წლით გაუგრძელებენ. ესპანელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ კარბონის სავარძელში **ფერნანდო გომესი** მოკალათდება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მას ვერ შეუთანხმდებიან, თანამდებობაზე "ატლეტიკოს" ყოფილ გენერალურ დირექტორ **ტონი მუნიოსს** დანიშნავენ.



კიკე სანჩეს ფლორესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილდის დიდი გამოკითხვა

# გერმანელებს ვერდერზე აბოდებთ

## ბაიერნის ჰაგემონია დაემხო, გერმანელებს შალკეც რეკორდმაისტერზე მეტად უყვართ...




ვერდერი გერმანიის ყველაზე პოპულარული გუნდია

გერმანიის ჩემპიონი "შტუტგარტი" გახდა, ბრემენის "ვერდერი" კი, როგორც იცით, მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა. მიუხედავად ამისა, ბრემენული გუნდი მთელი ქვეყნისთვის ყველაზე სიმპათიური გერმანული საფეხბურთო კლუბია. დიდმა გამოკითხვამ, რომლის ჩატარება გამოცემა "ბილდმა" ჯერ კიდევ ბუნდესლიგის მეორე წრის დაწყებამდე დაიწყო, ცხადყო, რომ გერმანია **თომას შააფის** "მუსიკოსებზეა" შეყვარებული. დიახ, "ვერდერზე" და არა "ბაიერნზე", რაც უდიდესი სენსაციაა.

შარშან, ისევე, როგორც წინა წლებში, ამავე გამოკითხვაში მიუნხენურმა გიგანტმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, წელს კი გერმანიის რეკორდსმენი მხოლოდ და მხოლოდ მესამე ადგილს სჯერდება. ასე განსაჯეთ, წელს გერმანელი ხალხისგან "ბაიერნზე" მეტი სიმპათია არა მხოლოდ "ვერდერმა", არამედ "შალკემაც" დაიმსახურა. მოკლედ, 27.51-მა მილიონმა გამოკითხულმა ხმა "ვერდერს" მისცა, 22.26-მა მილიონმა "შალკეს", ხოლო "ბაიერნს" კი 21.92-მა მილიონმა. მეოთხე ადგილზე "ჰამბურგი" გავიდა (18.43). აღსანიშნავია, რომ მიუხედავად კრიზისული ვითარებისა, მეხუთე პოზიციაზე დორტმუნდის "ბორუსიაა" მოკალათებული. BVB-ს გერმანიაში 17.21 მილიონი ქომაგი ჰყავს.

საინტერესოა ის, რომ "ვერდერმა" ხმები არა მხოლოდ ჩრდილოეთ გერმანიაში, როგორც ჩრდილოულმა გუნდმა, არამედ მთელი გერმანიის მასშტაბით მიიღო. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: ბერლინშიც კი, "ვერდერი" უფრო მეტად უყვართ, ვიდრე დედაქალაქური "ჰერტა". აქვე იმასაც გეტყვით, რომ ბრემენული კლუბის ქომაგთა რიცხვი ბოლო 5 წელიწადში სამჯერ გაიზარდა! ეს კი, "ბაიერნისთვის" ძალიან საშიში ტენდენციაა.

*"გამოკითხვის შედეგებით აღფრთოვანებულები ვართ, ეს ჩვენი მუშაობის დაფასებაა. რაც მთავარია, გულშემატკივრებმა დაინახეს, რომ "ვერდერი" მუშაობს. ჩვენ არა სკანდალებითა და სხვების დაკნინებით, არამედ ჩვენი მუშაობით მივაღწიეთ იმას, რომ "ვერდერი" გერმანიაში დღესდღეობით ყველაზე პოპულარული კლუბია. ჩვენს გუნდს ყველაზე მეტი გოლი გააქვს, ყველაზე თვალსასეირო ფეხბურთს თამაშობს, მოთამაშეთა დიდი ნაწილი გერმანიის ნაკრებში თამაშობს და ამას ისიც ემატება, რომ გვყავს დიეგო, რომელიც ყველას აღაფრთოვანებს,"* - აცხადებს "ვერდერის" პრეზიდენტი **იურგენ ლ. ბორნი**.

ერთი სიტყვით, გერმანიას "ვერდერზე" აბოდებს, რაც "ბაიერნისთვის" სერიოზული დარტყმაა. თუმცა რეკორდმაისტერის შეფებს თავის დამშვიდება იმით შეუძლიათ, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა გერმანიის უძლიერეს გუნდად მაინც "ბაიერნს" მიიჩნევს - მიუხედავად იმისა, რომ ბავარიელები წელს მხოლოდ მე-4 ადგილზე გავიდნენ. გამოკითხვაში, თქვენი აზრით, რომელი გუნდია ყველაზე ძლიერი, "ბაიერნს" ხმა 18.88 მილიონმა ადამიანმა მისცა. მეორე ადგილზე "ვერდერია" - 13.67, მესამეზე კი **ლევან კობიაშვილის** "შალკე" - 5.01.

მოსახლეობამ საუკეთესო მწვრთნელად ან უკვე "ვოლფსბურგის" დამრიგებელი **ფელიქს მაგათი** დაასახელა, კაცი, რომელიც 31 იანვარს "ბაიერნიდან" გაათავისუფლეს. "დესპოტ ფელიქსს" "ვერდერის" თავკაცი **თომას შააფი** ოდნავ ჩამორჩა. საინტერესო ისაა, რომ "შტუტგარტის" დამრიგებელი **არმინ ფეე** საუკეთესო ხუთეულშიც კი ვერ მოხვდა. როგორც ჩანს, გერმანელები შვაბთა ჩემპიონობაში მწვრთნელის დამსახურებას ნაკლებად ხედავენ და ის, რომ "ვერცხლის სინი" VFB-მ დაისაკუთრა, უფრო შემთხვევითობის ბრალი ჰგონიათ. როგორც მოსალოდნელი იყო, საუკეთესო მწვრთნელთა ხუთეულში არც "შალკეს" თავკაც **მირკო სლომკას** ადგილი მოიძებნა. ფაქტია, რომ გელზენკირხენელთა თითქმის არცერთი გამარჯვება უშუალოდ სლომკას დამსახურება არ ყოფილა. ფეეს არდასახელებას შესაძლოა ის მიზეზიც ჰქონდეს, რომ როცა გამოკითხვა დასრულდა, სეზონი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, მაგრამ ეს ფაქტობრივად არც არაფერს ცვლის.

ამ გამოკითხვით ყველაზე მეტად მაინც **მიროსლავ კლოზემ** იხეირა. მიუხედავად იმისა, რომ "ვერდერის" ფორვარდს მეორე წრეში არაფერი გამოსდიოდა, ხალხმა ის მაინც უსაყვარლეს ფეხბურთელად აღიარა. ბუნდესთავდამსხმელმა უდიდესი უპირატესობით აჯობა ჩელსელ **მიხაელ ბალაკს**, რომელიც მეორე ადგილზეა.

აი, გამოკითხვის შედეგებიც:

**საყვარელი გუნდი**

| გუნდი | ხმა |
|---|---|
| 1. ვერდერი | 27.51 (მლნ) |
| 2. შალკე | 22.26 |
| 3. ბაიერნი | 21.92 |
| 4. ჰამბურგი | 18.43 |
| 5. ბორუსია (დ) | 17.21 |
| 6. შტუტგარტი | 17.08 |
| 7. ნიურნბერგი | 13.37 |
| 8. მაინცი | 12.89 |
| 9. ლევერკუზენი | 12.19 |
| 10. ბორუსია (მ) | 12.15 |
| 11. ჰერტა | 11.65 |
| 12. ბოხუმი | 10.96 |
| 13. აინტრახტი | 10.58 |
| 14. ჰანოვერი | 9.08 |
| 15. კოტბუსი | 7.77 |
| 16. ალემანია | 7.64 |
| 17. ვოლფსბურგი | 6.85 |
| 18. არმინია | 6.10 |

**საყვარელი ფეხბურთელი**

| ფეხბურთელი | კლუბი | ხმა |
|---|---|---|
| 1. მიროსლავ კლოზე | ვერდერი | 33% |
| 2. მიხაელ ბალაკი | ჩელსი | 17% |
| 3. ბასტიან შვაინშტაიგ. | ბაიერნი | 7% |
| 4. ლუკას პოდოლსკი | ბაიერნი | 7% |
| 5. ოლივერ კანი | ბაიერნი | 5% |
| 6. იენს ლემანი | არსენალი | 5% |
| 7. დიეგო | ვერდერი | 5% |
| 8. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 4% |
| 9. ტორსტენ ფრინგსი | ვერდერი | 4% |
| 10. როი მაკაი | ბაიერნი | 2% |

**სპორტის საყვარელი სახეობა**

| სახეობა | ხმა |
|---|---|
| 1. ფეხბურთი | 31.67 (მლნ) |
| 2. მძლეოსნობა | 12.80 |
| 3. ფორმულა 1 | 9.64 |
| 4. ჩოგბურთი | 7.77 |
| 5. ბიატლონი | 7.08 |

**საყვარელი გუნდი (არაგერმანული)**

| გუნდი | ხმა |
|---|---|
| 1. ბარსელონა | 2.26 (მლნ) |
| 2. ჩელსი | 1.49 |
| 3. რეალი | 1.36 |
| 4. მანჩესტერი | 1.28 |
| 5. ლივერპული | 1.12 |

**საუკეთესო გერმანული გუნდი**

| გუნდი | ხმა |
|---|---|
| 1. ბაიერნი | 18.88 (მლნ) |
| 2. ვერდერი | 13.67 |
| 3. შალკე | 5.01 |
| 4. შტუტგარტი | 1.91 |
| 5. ბორუსია (დ) | 1.54 |

**საუკეთესო მწვრთნელი**

| მწვრთნელი | ხმა |
|---|---|
| 1. ფელიქს მაგათი | 13.01 (მლნ) |
| 2. თომას შააფი | 9.19 |
| 3. იურგენ კლოპი | 2.80 |
| 4. ჰანს მაიერი | 2.36 |
| 5. კლაუს აუგენტალერი | 2.18 |

გოტფრიდ **ლენცი**

ბაიერნი

# შვაინი საოპერაციო არ არის

## ბასტიანი შვებულებიდან ორი კვირით ადრე დაბრუნდა, ისმაელიც ჟანზეა...



ბასტიან შვაინშტაიგერი

"ბაიერნის" ფეხბურთელები შვებულებიდან 29 ივნისს დაბრუნდებიან. ეს ის დღეა, როცა რეკორდმაისტერი მომდევნო სეზონისთვის მზადებას შეუდგება - როგორც იცით, ცნობილია, რომ პირველ შეკრებას **ლუკა ტონი** ტრავმის გამო გამოაკლდება. **ბასტიან შვაინშტაიგერი** შვებულებიდან ორი კვირით ადრე დაბრუნდა. 22 წლის ნახევარმცველი იბისაზე ისვენებდა და თამამად შეეძლო, რომ იქ კიდევ ორი კვირა გაეტარებინა, მაგრამ მიუნხენს მიაშურა და ვარჯიშს შეუდგა. მართალია, სრული დატვირთვით მომზადებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, რადგან ჯერ კიდევ არაა ცნობილი, თუ რა სჭირს მას მუხლზე (საუბრობენ ობობის ნაკბენზე, ინფექციებზე და ა.შ.), მაგრამ ფაქტია, რომ ბასტიანმა მომავალი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყო. და თანაც, ჩვენს გერმანელ კოლეგებს მან გუშინ ერთი მეტად სასიამოვნო ინფორმაციაც ამცნო.

*"ოპერაცია საჭირო არ არის, უკვე 100 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ ქირურგიული ჩარევა არ დამჭირდება! მუხლი მწყობრშია, საბოლოო დიაგნოზსაც მალე შევიტყობ. ფაქტი ის გახლავთ, რომ ყველაფერი არც ისე სერიოზულადაა, როგორც თავიდან გვეგონა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა 29 ივნისიდან უკვე გუნდთან ერთად მოვემზადო. იმედი მაქვს, რომ ამ დღიდან სრული დატვირთვით ვარჯიშს განვაახლებ და რომ მომდევნო სეზონს ტრავმის გარეშე ჩავატარებ,"* - განუცხადა შვაინშტაიგერმა "ბილდს".

შეგახსენებთ, რომ შვაინის 7 აპრილის შემდეგ აღარ უთამაშია ("ჰანოვერთან" 2:1, სადაც გამარჯვების გოლი შეაგდო). ახლა კი ყველაფერს თავიდან იწყებს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ბასტიანზე უკეთეს მდგომარეობაშია **ვალერიან ისმაელი**. 31 წლის ფრანგმა მცველმა, როგორც იცით, ორი ოპერაცია გადაიტანა და, ფაქტობრივად, მთელი სეზონი გაუცდა. ისმაელი სრული დატვირთვით ვარჯიშს 6 ივნისიდან შეუდგა.

ვერდერი

# კლასნიჩი მზადებას იწყებს

## ბოროვსკის ახალ კონტრაქტს სთავაზობენ

"ვერდერის" თავდამსხმელი **ივან კლასნიჩი** ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებს. როგორც იცით, 27 წლის ფორვარდმა შუა სეზონში ორი უმძიმესი ოპერაცია გადაიტანა - მარტში თირკმელი ორჯერ გადაუნერგეს, ჯერ ძმისა, მერე კი მამის. ბრემენული კლუბი 2 ივლისს შეიკრიბება და ფეხბურთელს იმედი აქვს, რომ სრული დატვირთვით ვარჯიშს მალე განაახლებს. პრობლემა ის არის, რომ ბრემენელთა მე-17 ნომერს "ვერდერთან" კონტრაქტი ივნისის ბოლოს ეწურება, ახალი ხელშეკრულება კი ჯერ არ გაუფორმებია. ცნობილია, რომ "მუსიკოსებმა" მას კონტრაქტის გაგრძელება არაერთხელ შესთავაზეს, მაგრამ ფეხბურთელი თანხმობის მიცემაზე თავს იკავებდა, რადგან ხელფასს არ უზრდიან.

ამასობაში, ბრემენეული კლუბის ბოსებს ძალიან უნდათ, რომ **ტიმ ბოროვსკის** კონტრაქტი ვადამდე ადრე გაუგრძელონ. 27 წლის ნახევარმცველის ხელშეკრულებას ვადა გაისად ეწურება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ეს უკანასკნელი ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს, მომავალი სეზონის შემდეგ მისი აყვანა ნებისმიერ გუნდს უფასოდ შეეძლება. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ბოროვსკი "ბაიერნის" სამიზნეშია. "ვერდერის" მენეჯერ **კლაუს ალოფსს** არ უნდა, რომ ბოროვსკის შემთხვევაშიც ისეთივე სიტუაცია შეიქმნას, რაც **მიროსლავ კლოზეს** გარშემო ხდება. *"ტიმის მრჩეველს უკვე ვესაუბრეთ. გვინდა, რომ ბოროვსკიმ ახალ კონტრაქტს ხელი რაც შეიძლება სწრაფად მოაწეროს."* - აცხადებს ალოფსი. მოკლედ, კლაუსი ჩქარობს, რადგან დიდი შანსია, რომ "ბაიერნის" ხელმძღვანელებმა დაასწრონ და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი თვალსა და ხელს შუა ააცალონ.

გუშინწინ ალოფსი ბრაზილიაში გაემგზავრა, სადაც ორ თავდამსხმელს, კლოზეს პოტენციურ შემცვლელებს აკვირდება. საუბარია "სან ლორენსოს" 22 წლის ფორვარდ **ესეკიელ ლავესიზე** (52 თამაში, 16 გოლი) და 20 წლის **მაურო სარატეზე** (ველეს სარსფილდი). სხვათა შორის, ლავესის მოსკოვის "სპარტაკიც" ეპატიჟება - რუსეთის სახალხო გუნდი მზადაა, "სან ლორენსოს" მის სანაცვლოდ 9 მილიონი ევრო გადაუხადოს.



ივან კლასნიჩი

უგუნდო მეკარე

# სად მიდის ჰანს იორგ ბუტი?

**ჰანს იორგ ბუტის** შესახებ არაფერი ისმის. არადა, 33 წლის მეკარე უგუნდოდაა - როგორც იცით, ბუტმა აპრილის ბოლოს "ლევერკუზენთან" კონტრაქტი ნაადრევად გაწყვიტა. გოლკიპერმა, რომელსაც გერმანიის ეროვნულ ნაკრებში 3 მატჩი აქვს ჩატარებული, ასეთი გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ მეორე წრეში "ბაიერის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. როგორც იცით, "ფარმაცევტთა" კარი მთავარმა მწვრთნელმა **მიხაელ სკიბემ** ახალგაზრდა **რენე ადლერს** ანდო, რომელმაც იმედები გაამართლა და რამდენიმე ფანტასტიკური მატჩი ჩაატარა. მას მერე "ლევერკუზენის" პირველი მეკარე ადლერია, ბუტი კი სეზონის ბოლომდე სკამს ხეხავდა. ჰანსი ახლა უმუშევარია და შესაბამისად, მისი აყვანა ნებისმიერ მსურველს უფასოდ შეუძლია. მაგრამ ბუნდესლიგაში ბუტისთვის ადგილი არ მოიძებნება - ძირითადი შემადგენლობისთვის მეკარე არავის სჭირდება, სათადარიგოობას კი ჰანს-იორგი "ლევერკუზენიდან" გაექცა.

ბუტის მრჩეველი **იორგ ნებლუნგი** ამბობს, რომ რამდენიმე არაგერმანულ კლუბთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს: *"არის პრემიერლიგის, პრიმერა დივიზიონისა და სერია A-ს ვარიანტები. ასე რომ, სულაც არ ვნერვიულობთ. დარწმუნებული გახლავართ, რომ ბუტი უმუშევარი არ დარჩება, თანაც, არც ძალიან დაბალი დონის გუნდებში მოუწევს თამაში."* ნებლუნგის თქმით, მისმა კლიენტმა უამრავი შეთავაზება მიიღო თურქეთიდან და საბერძნეთიდან, მაგრამ ყველას უარი უთხრა, რადგან უფრო მაღალი დონის ჩემპიონატში თამაში სურს.

ფაქტია, რომ გასული სეზონი მისთვის ყველაზე უარესი იყო. "კიკერისგან" საშუალო შეფასება 3.20 ბალი (22 მატჩისთვის) დაიმსახურა, ეს კი 1997/98 წლების სეზონის შემდეგ, როცა ის პირველად გამოჩნდა ბუნდესლიგაში (ჰამბურგი), ყველაზე უარესი მაჩვენებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კალათბურთი**

ახალგაზრდული ნაკრები

## საკონტროლო ირანთან



დავით უსტიაშვილი და გელა წულაძე

სამკვირიანი შესვენების შემდეგ კაფე "მსოფლიო სპორტში" საკალათბურთო პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტების წინაშე ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელები **დავით უსტიაშვილი** და **გელა წულაძე** წარდგნენ. მათ დღევანდელ ამხანაგურ მატჩზეც ისაუბრეს, ნაკრების მზადყოფნაზეც და სამომავლო მიზნებზეც.

ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ დღეს "დინამოს" ბაზაზე საქართველოს 20-წლამდელთა გუნდი ირანელ თანატოლებს დაუპირისპირდება. იგეგმება მეორე თამაშიც, 23 ივნისს.

*"ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას 4 ივნისს შევუდექით. სადღეისოდ ორჯერად ვარჯიშებს ვატარებთ და ნელ-ნელა ფორმაში შევდივართ. მინდა, მადლობა გადავუხადოთ ბიჭებს, რომლებიც ბოლომდე იხარჯებიან. მზადების პირველი ნახევარი უკან მოვიტოვეთ და ახლა გაცილებით მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება - ხვალიდან საკონტროლო მატჩები გველის. სწორედ ასეთ შეხვედრებში უნდა დაიხვეწოს საბოლოო ტაქტიკა და გამოჩნდეს, როგორ ვართ მომზადებულები. აქედან გამომდინარე მატჩების შედეგებს ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება".* - პრესკონფერენცია 20-წლამდელთა მთავარმა მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** გახსნა. მისმა თანაშემწე **გელა წულაძემ** კი დასძინა: *"ჩვენი გათვლებით ოპტიმალურ ფორმაში ევროპის ჩემპიონატის პირველი თამაშისთვის ვიქნებით, რომელიც 6 ივლისს გაიმართება".*

კითხვაზე, რა ინფორმაცია აქვთ ირანის ახალგაზრდულ ნაკრებზე, მწვრთნელებმა მოკლე პასუხი გასცეს - მეტოქეს ხვალ გავიცნობთო. თითქმის იგივე სიტუაციაა ევროპის ჩემპიონატზე ჩვენს მოწინააღმდეგეებთან დაკავშირებით (ლატვია, ბულგარეთი, იტალია) - მათი მატჩები არ უნახავთ და დღესდღეობით მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები გააჩნიათ.

*"ვიცით, რომ ბულგარეთის ნაკრები თითქმის იმავე ძალისაა, რაც უკრაინა, ამიტომ კიევში ადგილობრივ 20-წლამდელებთან სამი შეხვედრა სამომავლოდ ძალიან წაგვადგება. უკრაინული შეკრება გენერალური რეპეტიცია იქნება, რადგან კიევიდან 1 ივლისს თბილისში ვბრუნდებით, ხოლო 4 ივლისს სლოვენიაში მივემგზავრებით".* - განაცხადა გელა წულაძემ.

2 ივლისს საქართველოს ეროვნული გუნდი **გორდონ ჰერბერტის** მეთაურობით იკრიბება. მასში სამი 20-წლამდელია გამოძახებული (**გიორგი შერმადინი, რეზო დიდია** და **მიხეილ ბერიშვილი**)...

**უსტიაშვილი:** *"ეს კალათბურთელები 2-ში პირველ გუნდთან არ ივარჯიშებენ. თუმცა შეიძლება თავად გორდონ ჰერბერტი დაესწროს ახალგზარდული ნაკრების ვარჯიშს. ეროვნულში ის მოხვდება, ვინც ევროპის ჩემპიონატზე დაამტკიცებს რომ დიდი გუნდის ღირსია. ჩვენი მთავარი მიზანი ხომ საქართველოს ნაკრებისთვის კადრების სათანადოდ მომზადებაა."..* - ეს უკვე დავით უსტიაშვილის სიტყვებია. მან იქვე ერთ მიზანზე ისაუბრა - *"ევროპის ჩემპიონატზე ქართველთა მიზანი A დივიზიონში ადგილის შენარჩუნება იქნება, რაც ჯგუფში ზედა სამეულში მოხვედრით მიიღწევა".*

მწვრთნელებმა შემადგენლობაზეც ილაპარაკეს:

*- ამჟამად გუნდში 14 კაცი ვარჯიშობს. ყველა ჯანმრთელადაა. ველით ლაშა ფარლალავას, რომელსაც დღეს ამერიკის კოლეჯში გამოცდა აქვს და მისი ჩაბარების შემდეგ საქართველოში დაუყოვნებლივ გამოფრინდება. ლაშას დამატების შემთხვევაში მოთამაშეთა რაოდენობა 15-მდე გაიზრდება, ხოლო ევროპის ჩემპიონატზე მათგან 12 შეირჩევა. გადაწყვეტილი გვაქვს უკრაინაში სწორედ 12 კალათბურთელით წავიდეთ, რადგან ნაკრებმა საბოლოო სახე სწორედ კიევის მატჩებისას უნდა მიიღოს.*

**პრესკონფერენციის ბოლოს თემიას გადავუხვიეთ და "აზოტის" (დავით უსტიაშვილი რუსთაველთა მწვრთნელიცაა) ევროტურნირებზე გასვლა-არგასვლის ამბავი ვკითხეთ.**

- ხელმძღვანელობას ევროპაზე გასვლა უნდა, მაგრამ ჯერჯერობით თავად ტურნირების ფორმატი არ არის გარკვეული. როგორც ვიცით, ფიბას თასი უქმდება და მხოლოდ ევროთასი რჩება, მაგრამ რამდენგუნდიანი იქნება ეს ტურნირი და რა მოთხოვნები იქნება, ჯერ არ ვიცით. უახლოეს დღეებში ეს საკითხიც გაირკვევა და მერე უფრო კონკრეტულად შეგვეძლება "აზოტის" ევროთასებზე გასვლაზე საუბარი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ლეგიონერი

## მანუს მემი გაწვრთნის

სლოვენიის ჩემპიონატის ფინალური სერიის წაგების შემდეგ "ოლიმპიის" თავკაცი **გასპერ ოკორნი** თანამდებობიდან გადააყენეს და როგორც დიდ გუნდებს სჩვევიათ, შემცვლელად ის სპეციალისტი მოიყვანეს, რომელმაც "ოლიმპია" დაამარცხა.

შეგახსენებთ, რომ ჯერ რეგულარულ ჩემპიონატში "ჰელიოსმა" "ოლიმპიას" ორჯერ აჯობა, ფინალებში კი 3:2 მოუგო და ლიუბლიანელებმა ოკორნის ადგილას სწორედ ამ გუნდის თავკაცი **მემი ბეჩიროვიჩი** მიიწვიეს. მანაც უარი არ თქვა, რადგან "ოლიმპია" ერთადერთი სლოვენიური გუნდია, რომელიც ევროლიგაზე ყოველწლიურად თამაშობს.

მკითხველს უთუოდ დააინტერესებს **მანუჩარ მარკოიშვილის** მოსაზრება მის კლუბში მომხდარი სამწვრთნელო ცვლილების შესახებ: *"ოკორნი გუნდის ხელმძღვანელობამ გადააყენა, ეტყობა, გასულ სეზონში მწვრთნელის მიერ ნაჩვენებმა შედეგმა არ დააკმაყოფილა. ოკორნის შემცვლელ მემი ბეჩიროვიჩთან ურთიერთობა აქამდე არ მქონია, თუმცა გამარჯობა-გაგიმარჯოთი კი ვიცნობ. თუ გუნდში დავრჩი, არ მგონია, მასთან ურთიერთობა გამიჭირდეს".*

ბეჩიროვიჩი "ჰელიოსამდე" სლოვენიის კლუბებში "ზრანიკში", "როლგასა" და "ელექტრაში" მოღვაწეობდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



მემი ბეჩიროვიჩი

**მშვილდოსნობა**



ქრისტინე ესებუა

## მოისრები ქარიან ამინდში

ამ დღეებში ხელვაჩაურმა მშვილდოსნობაში საქართველოს თასის გათამაშების მეორე ეტაპს უმასპინძლა, თბილისელი, ქუთაისელი და ბათუმელი მშვილდოსნების მონაწილეობით. ქალთა ტურნირში **ქრისტინე ესებუამ** გაიმარჯვა, მეორე ადგილი **ასმათ დიასამიძემ** დაიკავა, მესამეზე კი **ოლგა ლადიგინა** გავიდა. ვაჟებში ყველაზე უფრო **ტარიელ ქადიძემ** იყოჩაღა, **დიმიტრი კირიჩენკო** მეორე იყო, **ვლადიმერ ბოლქვაძე** - მესამე.

მშვილდოსნობის ქომაგს უთუოდ ეხამუშება ის ფაქტი, რომ ქალთა ტურნირის მედალოსნებში არაა **ხათუნა ნარიმანიძე**. სამწუხაროდ, იგი, მოძველებულმა მშვილდმა დააღალატა, რის გამოც მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა.

ალბათ, ამ ტურნირის ხელვაჩაურში ჩატარებაც გაგიკვირდებათ. მით უფრო, ფედერაციის კალენდრის მიხედვით, ქუთაისში უნდა გამართულიყო. მოგეხსენებათ, წლეულს მშვილდოსნობის ფედერაცია საქართველოს თასს რამდენიმე ეტაპად ატარებს. პირველს თბილისმა უმასპინძლა, მეორე კი ქუთაისში იგეგმებოდა, მაგრამ სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციის მიზნით, იქაურმა გამგეობამ და აჭარის მშვილდოსნობის ფედერაციამ ხელვაჩაურში გამართვა ითხოვეს, სადაც უკვე არსებობს მშვილდოსნობის სექცია. ამ გონივრულ წინადადებას საქართველოს ფედერაციაც დათანხმდა.

ტურნირი რაიონის სპორტსკოლის საფეხბურთო მოედანზე გაიმართა, რომელიც თავისუფლად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. მეტიც - იმდენად მოსახერხებელია, რომ საქართველოს ნაკრების თავკაცი **თამაზ ფუტკარაძე** მსოფლიო პირველობისთვის ძირითადად იქ ამზადებს გუნდს. როგორც თავად გვითხრა, ქარიანი ადგილია და იქ ვარჯიში სპორტსმენებს გარემო პირობებთან უფრო უკეთ შეგუებაში ეხმარება.

მსოფლიო ჩემპიონატი 8 ივლისს იწყება ლაიფციგში, თუმცა ჩვენები გერმანიაში 29 ივნისს გაემგზავრებიან შეკრებაზე. ფედერაციისა თუ ნაკრების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, ჩემპიონატში მხოლოდ ქალთა ნაკრები გამოვა ნარიმანიძის, ესებუას და დიასამიძის შემადგენლობით, რაკილა სათადარიგო მონაწილის წაყვანა უკვე აკრძალულია.

ამ მსოფლიო ჩემპიონატზე პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებიც გაიცემა, ოღონდ შემცირებული რაოდენობით - სულ 46 და ჩვენებურთა უპირველესი საზრუნავიც მათი მოპოვებაა. ამას წინათ ანთალიის მსოფლიო თასზე ნაჩვენები შედეგებით, ჩვენი ტრიო ამ 46-ში უნდა მოხვდეს, თუმცა ვნახოთ, როგორ ისვრიან ლაიფციგში... აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ შეიცვალა საგზურების განაწილების წესიც - თუ ადრე 64 ლიცენზიას იძლეოდნენ, ახლა ეს რიცხვი 46-მდე დავიდა. თანაც, უწინ ფლეი ოფი ოცდამეთორმეტედფინალიდან იწყებოდა, ახლა - 1/64-დან ანუ სალიცენზიო ზონაში მოსახვედრად ამჯერად დამატებითი წრის გავლაა საჭირო.

**ირაკლი თავაძე**

**სტუდენტური სპორტი**

## მეტრეველი ამაშუკელმა შეცვალა

გუშინ, სპორტის დეპარტამენტში საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ყრილობა გაიმართა. დღის წესრიგში ორი საკითხი იდგა: სამი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შეფასება და ახალი პრეზიდენტის არჩევა.

საუნივერსიტეტო სპორტს ბოლო სამი წელიწადია **მერაბ მეტრეველი** ხელმძღვანელობდა. ის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტისა მინისტრის თანაშემწე და საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახლავთ. როგორც მომხსენებელმა, საუნივერსიტეტოს პორტის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **გივი მძელურმა** აღნიშნა, ბატონი მერაბი ამდენ საქმეს ვერ აუდიოდა და ბოლო დროს ჯანმრთელობამაც შეაწუხა - სამიოდ დღის წინათ დაბრუნდა უცხოეთიდან, სადაც თვალის ოპერაცია გაიკეთა. მეტრეველმა განცხადებით მიმართა ფედერაციის გამგეობას და საკუთარი ნებით გადადგა დაკავებული თანამდებობიდან.

პრეზიდენტის პოსტზე თავიდან ორი კანდიდატი იბრძოდა - ცნობილი საფეხბურთო მოხელე, ტრადიციული ტურნირის "ზენდელას" თასის დამაარსებელი **კახა ჭუმბურიძე** და სპორტის დეპარტამენტის სპორტის სამმართველოს სპეციალისტი **ნიკოლოზ ამაშუკელი**. ბატონ ნიკოლოზს პრეზიდენტობის გამოცდილება აქვს - 2000 წლიდან 2004 წლამდე საქართველოს ბოდიბილდინგის ფედერაციას ედგა სათავეში.

ყრილობის წინ კახა ჭუმბურიძემ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. არჩევნები, ფორმალობად იქცა, მაგრამ სწორედ რომ ფორმალობა მოითხოვდა განსაზღვრული წესების დაცვას და არჩევნები ყველა წესის დაცვით ჩატარდა. სულ 41 დელეგატს ჰქონდა ხმის უფლება; ყრილობაზე რეგისტრაცია გაიარა 32-მა, რითაც ყრილობა უფლებამოსილი იყო გადაწყვეტილებები მიეღო.

ნიკოლოზ ამაშუკელი ერთხმად აირჩიეს. მილოცვების შემდეგ მან მადლობა გადაუხადა ყველას ნდობისთვის და აღუთქვა დამსწრეებს, რომ სტუდენტური სპორტის ასაღორძინებლად ყველა ღონეს იხმარს. მან გვერდში ცნობილი ადამიანები დაიყენა - ვიცე-პრეზიდენტებად საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორი, პროფესორი **ელგუჯა გუგუშვილი** და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის თავმჯდომარე **თემურ დუნდუა**. გენერალურმა მდივანმა გივი მძელურმა თანამდებობა შეინარჩუნა.

**ზვიად შათირიშვილი**

**ჭადრაკი**



ვახტანგ ქარსელაძის მემორიალი

## წიწილები სასახლეში

ჭადრაკის სასახლეში დაიწყო ცნობილი ქართველი მწვრთნელის, **ვახტანგ ქარსელაძის** ტრადიციული მემორიალი.

ტურნირი, ტრადიციულადვე, ბავშვებში ტარდება. ოთხი ასაკობრივი ჯგუფია: 8-10-12 და 14 წლამდელები. შეჯიბრება გუნდურია - ერთ გუნდში სამი ბიჭი და ერთი გოგონა თამაშობს. ოთხივე ასაკობრივ ჯგუფში 50 გუნდი მოგროვდა: 8 წლიანებში - 15; 10-წლიანებში - 12; 12 წლიანებში - 14 და 14 წლიანებში - 9.

ხუთი ტურის შემდეგ გამოვლინდება ოთხი გუნდი, რომლებიც ერთმანეთში საპრიზო ადგილებისთვის ოლიმპიური სისტემით გააგრძელებენ ბრძოლას.

გუშინ მეორე ტური გაიმართა. რვაწლიანთა შორის მაქსიმალური ქულათა რაოდენობით გუნდი "წიწილები" ლიდერობს, ათწლიანებში - "ჭადრაკის სასახლე", 12-წლიანებში "რუსკა და გიო", 14-წლიანებში - "აისი".

**ზვიად შათირიშვილი**

**თარიღი**

**ამირან ტოტიკაშვილი.** დაიბადა 21.06.-1969, მარტყოფი, გარდაბანი. ძიუდო (60 კგ). 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონი (1989), ევროპის ორგზის ჩემპიონი (1988, 89) და მესამე პრიზიორი (1990), "კეთილი ნების თამაშების" ჩემპიონი (1990), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1988, 89). მსოფლიოს ჩემპიონი სტუდენტთა შორის (1989). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**ალექსი დავითაშვილი.** დაიბადა 21.06.19-74, ახმეტა. ძიუდო (+100 კგ). ევროპის ჩემპიონატების სამგზის მესამე პრიზიორი (1994, 2000, 01), ევროპის ორგზის ჩემპიონი გუნდურ პირველობაში (2002, 03), მსოფლიო უნივერსიადის მეორე პრიზიორი (1994). ევროპის ჩემპიონატის მეორე (1998) და სამგზის მესამე პრიზიორი (1998, 99, 2001) სუმოში. საქართველოს შვიდგზის აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. სიდნეის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (დამარცხდა პირველ წრეში). ღირსების ორდენის კავალერი.

საქართველოს ნიჩბოსნობისა და კანოეს ეროვნული ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს ნიჩბოსნობაში საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს გიორგი ელბაქიძეს

**შვილის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

**რაგბი** — საქართველოს ჩემპიონატი

## ცხრალელოიანი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

უკვე მე-8 წუთისთვის "ყოჩები" 10 ქულით დაწინაურდნენ. მე-4 და მე-8 წუთებზე თავი მორკინალებმა გამოიჩინეს - ჯერ მოლიდან იმარჯვეს, მერე კი ხუთმეტრიანი შერკინებიდან შეათრიეს მეტოქე ლელოში. პირველ შემთხვევაში **გია დგებუაძემ** იყოჩალა, მეორე ლელოს ავტორი მესამე ხაზში დაბრუნებული **კახა კობახიძე** იყო.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტელები შერკინებას პირწმინდად თმობდნენ, სხვაობის შემცირება მაინც შეძლეს. მათ მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში აგდებული დერეფანის შემდეგ მოლი, არ დააყენეს, მოულოდნელად ბურთი ხაზზე გაიტანეს, **ლაშა ბაირამაშვილმა** ცრუ მოძრაობით მეტოქე უკან მოიტოვა, ხაზი გაჭრა და მიზანს მიაღწია. გარდასახვა **რატი ნუცუბიძემ** დაარტყა - 7:10.

"ყოჩებმა" ზეწოლა ამის შემდეგ უფრო გააძლიერეს და ტაიმის დასრულებამდე ორი წუთით ადრე უკვე 15 ქულით დაწინაურდნენ. კახა კობახიძემ ორიდან ერთი ლელო გარდასახა - 22:7. ამაზე უნივერსიტეტელებმა ლელოთივე გასცეს პასუხი ტაიმის უკანასკნელ წუთებზე. თავი ამჯერად გარემარბმა **ჯაბა კიკვიძემ** გამოიჩინა - 12:22.

მაქსიმუმი, რაც მეორე ნახევარში "უნივერსიტეტმა" მოახერხა, ანგარიშის 7 ქულამდე შემცირება იყო. "ყოჩების" ორ ლელოს მათ მხოლოდ ერთით უპასუხეს. ვერ ვიტყვით, რომ უშანსოდ იყვნენ, მაგრამ მაინც წააგეს - 22:34.

**ყოჩები-უნივერსიტეტი 34:22**

ყოჩები: (15-9) დადაშიანი, ნიყარაძე, ჟამუტაშვილი (გრძელიძე 69), ადანაია, გეგენავა, გაბუნია, ხელაძე; (1-8) ასეიშვილი, კიკნაველიძე (თოთაძე 41), შეყლაშვილი, ბელაშვილი (ჩოჩიშვილი 65), არჩუაშვილი, ბრეგვაძე, კახა კობახიძე, დგებუაძე (კუჭუხიძე 77) - *6ლ (კობახიძე 3, ჯოხაძე, კუჭუხიძე, დგებუაძე); 2გ (გაბუნია, კობახიძე)*

უნივერსიტეტი: 15-9: კავთიძე, ხუციშვილი (ფერაძე 67), გოგიშვილი (ჯაში 75), ნუცუბიძე, კიკვიძე, ბაირამაშვილი, ნადარეიშვილი; (1-8) მახარაშვილი, კაკოვინი (ბერიძე 41), დონაძე, მელიქიძე (დარასელია 57), კოტე კობახიძე (კილასონია 69), დათუნაშვილი, სურგულაძე, მჭედლიძე - *3ლ: (ბაირამაშვილი 2, კიკვიძე) 2გ (ნუცუბიძე) ს (ბაირამაშვილი)*

მსაჯი: მ.ჩაჩუა

საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა "ყოჩებმა" პირველი წრის ბოლო ტურში "უნივერსიტეტის " ახალგაზრდული გუნდი დაამარცხა.

## მეოთხე მოგება ოთხი ლელოთი

**ლოკომოტივი-დინამო 26:0**

ლოკომოტივი: (15-9) ნადირაძე, გუგავა, ქავთარაძე, ხაჩირაშვილი, ბერძენიშვილი (ჩიხლაძე 57, გააძევეს), კვინიხიძე, ლვინჯილია; (1-8) პეტრიაშვილი (ჯაველიძე 57), ტურაშვილი (მალალდაძე 68), ხეჩიკოვი, მთიულიშვილი, მგელაძე, ბერიშვილი (წეველიძე 60), ყურაშვილი (კახიანი57), ზ.მაისურაძე - *4ლ (მთიულიშვილი, ყურაშვილი, ზ.მაისურაძე, ნადირაძე) 3გ (კვინიხიძე)*

დინამო: (15-9) ოდიშარია, აგიაშვილი, პ.მაისურაძე სბ, ხვიჩია, ჯეირანაშვილი, გრძელიშვილი, კრეპსი; (1-8) გაგნიძე (მოქია 41), მურვანიძე, მირცხულავა, ჭიჭინაძე (ანდრიასოვი 41), მეიშვილი, გუგუშვილი, რამიშვილი, აზალაძე.

მსაჯი: უ.ნარიმანიძე

ჩემპიონმა "ლოკომოტივმა" მეოთხე მატჩი მოიგო. თამაში თავიდანვე მძიმედ დაიწყო, ჩანდა, რომ დინამოელები იოლად დანებებას არ აპირებდნენ. ბრძოლა იმდენად თანაბარი იყო, რომ 25-ე წუთამდე ანგარიშის გახსნა ვერცერთმა მხარემ ვერ მოახერხა. მე-10 წუთზე "დინამოს" ფულბეკმა **დავით ოდიშარიამ** ხელსაყრელი პოზიციიდან საჯარიმო ვერ გაიტანა.

შემდეგ რკინიგზელებმა 5 წუთში ორი ლელოს გაიტანეს. მეტოქის ნახევარზე **ირაკლი ლვინჯილიამ** საჯარიმო სწრაფად გაითამაშა და იქვე მიმყოლ **ზვიად მაისურაძეს** აუგდო, რომელმაც დაცვის ხაზი გაჭრა და 30 მეტრი ირბინა. მალე მოლიდან თავი **გიორგი მგელაძემ** გამოიჩინა. **კვინიხიძემ** ორივე გარდასახა - 14:0.

ტაიმის მიწურულამდე ორი წუთით კიდევ ერთი მოლი მესამეხაზელმა **ბექა ყურაშვილმა** დააბოლოვა, კვინიხიძემ კი გარდასახა - 21:0.

მეორე ნახევარი ისევ უშედეგოდ დაიწყო. ხშირი იყო ტექნიკური წუნი, რის გამოც თამაში ხშირად ჩერდებოდა. მეოთხე ლელო რკინიგზელებმა 73-ე წუთზე გაიტანეს. მათ მეტოქე კონტრშეტევაზე დაიჭირეს, ყველაზე საზრიანად ფულბეკი **ვეფხია ნადირაძე** გაისარჯა, მოულოდნელად დაუსხლტა ორ მოწინააღმდეგეს და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 26:0.



ბურთით ზვიად მაისურაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**ბესიკ ჯანგავაძე**

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ლოკომოტივი | 4 | 4 | 0 | 0 | 8 |
| 2.ყოჩები | 5 | 4 | 0 | 1 | 8 |
| 3.ლელო | 4 | 3 | 0 | 1 | 6 |
| 4.დინამო | 5 | 1 | 0 | 4 | 2 |
| 5.უნივერსიტეტი | 5 | 1 | 0 | 4 | 2 |
| 6.არმაზი | 5 | 1 | 0 | 4 | 2 |

ევროპის ერთა თასი

## კალენდარი დადგინდა

ფირა-აერ-მა საგაისო ერთა თასის განრიგი გამოაქვეყნა. საფრანგეთში, მსოფლიო თასზე გამოსვლის შემდეგ "ბორჯღალოსნები" ერთა თასის პირველ წრეს ჩაამთავრებენ - 10 ნოემბერს პორტუგალიასთან თამაშით. გაისად, თებერვალში ჩვენი გუნდი ორ მატჩს გამართავს, 9 თებერვალს რუმინეთის ნაკრებს უმასპინძლებს, ხოლო 23-ში პორტუგალიის ნაკრებს ესტუმრება. 29 მარტს "ბორჯღალოსნები" ჩეხეთს ეწვევიან. 12 აპრილს რუსეთს ვესტუმრებით, ერთა თასს კი 10 მაისს ესპანელთა მასპინძლობით ვასრულებთ.

| | |
|---|---|
| რუმინეთი-საქართველო | 17:20 |
| პორტუგალია-ესპანეთი | 21:18 |
| ესპანეთი-რუსეთი | 14:39 |
| რუმინეთი-ესპანეთი | 50:14 |
| ესპანეთი-საქართველო | 31:17 |
| ჩეხეთი-რუმინეთი | 13:46 |
| საქართველო-რუსეთი | 31:12 |
| საქართველო-ჩეხეთი | 98:3 |
| რუსეთი-ჩეხეთი | 62:6 |
| ჩეხეთი-ესპანეთი | 15:42 |
| პორტუგალია-რუსეთი | 13:21 |
| ჩეხეთი-პორტუგალია | 3:23 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 4 | 3 | 0 | 1 | +103 | 6 |
| 2. რუსეთი | 4 | 3 | 0 | 1 | +70 | 6 |
| 3. რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | +66 | 4 |
| 4. პორტუგალია | 3 | 2 | 0 | 1 | +15 | 4 |
| 5. ესპანეთი | 5 | 2 | 0 | 3 | -23 | 4 |
| 6. ჩეხეთი | 5 | 0 | 0 | 5 | -231 | 0 |

**2007**

**3 ნოემბერი**
ესპანეთი-ჩეხეთი

**10 ნოემბერი**
საქართველო-პორტუგალია
რუმინეთი-რუსეთი

**17 ნოემბერი**
პორტუგალია-რუმინეთი

**2008**

**9 თებერვალი**
საქართველო-რუმინეთი

**16 თებერვალი**
პორტუგალია-ჩეხეთი

**23 თებერვალი**
პორტუგალია-საქართველო
ესპანეთი-რუმინეთი

**1 მარტი**
რუსეთი-პორტუგალია

**8 მარტი**
რუმინეთი-პორტუგალია
რუსეთი-ესპანეთი

**15 მარტი**
რუსეთი-რუმინეთი

**22 მარტი**
რუმინეთი-ჩეხეთი

**29 მარტი**
ჩეხეთი-საქართველო

**12 აპრილი**
რუსეთი-საქართველო

**19 აპრილი**
ჩეხეთი-რუსეთი

**26 აპრილი**
საქართველო-ესპანეთი

**10 მაისი**
ესპანეთი-პორტუგალია

**სუმო**



ადამ ოქრუაშვილი

## ძიუდოისტები სუმოში

ამ დღეებში ბუდაპეშტში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი სუმოში როგორც დიდებში, ასევე ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში. ჩვენი ნაკრები სამივე ტურნირში გამოვიდა, მაგრამ არასრული გუნდით - სულ ოთხი სპორტსმენით. ამის მიუხედავად, 4 მედალი მაინც მოიპოვეს - 3 ოქრო და 1 ბრინჯაო, თუმცა იმათგან.არც ერთი არაა უფროსთა პირველობისა. ჩვენებურთაგან ყველაზე უკეთ ძიუდოისტი **ადამ ოქრუაშვილი** გამოვიდა - სამივე ოქრო მისი მონაგარია - მან ჯერ ჭაბუკთა (?!) მძიმე წონაში გაიმარჯვა, მერე კი ახალგაზრდებში მძიმეც მოიგო და აბსოლუტურიც.

ახალგაზრდებში აბსოლუტურში ბრინჯაოს მედალი **თედო რთველიაშვილმა** მოიპოვა.

უფროსებში **ავთანდილ ცერცვაძეს** აბსოლუტურში ერთი მოგება დააკლდა მედლამდე-ბრინჯაოსთვის ბრძოლა წააგო და მეხუთეზე დარჩა. **ლევან რაზმაძემ** 115 კილოგრამ წონით კატეგორიაში იასპარეზა და რადგან ძიუდოში 100-ში გამოდის, რა გასაკვირია, თუ ადრევე წააგოდა გავარდა. ამასთან, ოთხივე მოჭიდავე უფროსებში გუნდურ პირველობაშიც გამოვიდა და აქაც ცოტა დააკლდათ მედლამდე - ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ბულგარელებთან დამარცხდნენ.

ცხადია, სუმოისტთა წარმატებების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ზოგიერთ საჩოთირო საკითხზე მაინც უნდა ვთქვათ. როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილ ოთხეულში ძიუდოისტთა ნაკრების ორი წევრია - ოქრუაშვილი და რაზმაძე. ისინი ახლა მსოფლიო ჩემპიონატისთვის ნაკრებთან ერთად უნდა ემზადებოდნენ და მიგვაჩნია, რომ ამ დროს ფედერაცია მათ სხვა ტურნირში არ უნდა უშვებდეს. არ გვგონია, სუმოში გამოსვლამ და თუნდაც გამარჯვებამ ძიუდოში მათ რამე არგოს, ვნებით კი ავნებს. მით უფრო, ოქრუაშვილს მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლის დიდი შანსი აქვს აბსოლუტურ პირველობაში და ალბათ აქ ძიძგილაობას ძიუდოში ბოლომდე დახარჯვა უჯობს. მით უფრო, ნაკრების თავკაცი **შოთა ხაბარელი** მისი გარჯით უკმაყოფილოა. იქნებ თქვათ, რომ ნაკრებმა უკვე დაამთავრა შეკრება, მაგრამ მალე ახალი ელოდებათ - ბუდაპეშტში გადაფრენ-გადმოფრენას კი უთუოდ დასვენება აჯობებდა.

მცირე ეჭვი მაინც გვიპყრობს, იქნებ ეს ძიუდოს ფედერაციას არც სურდა, მაგრამ...

**ირაკლი თავაძე**

**პეკინი 2008**

## გვჭირდება თუ არა ფსიქოლოგი?

დიდი მასშტაბის ყველა სპორტულ შეჯიბრებაში, განსაკუთრებით კი ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა საჭიროებს სპორტსმენთა კომპლექსურ მომზადებას, სადაც გარდა წვრთნის საკითხებისა (სპორტსმენთა საერთო და სპეციალური ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური, მომზადება და სხვ.), ასეთივე დიდ ყურადღებას მოითხოვს სპორტსმენთა თანამედროვე დონეზე სამედიცინო უზრუნველყოფა და მათი ფსიქოლოგიური მზადყოფნა.

წვრთნის პროცესი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს, როგორც სამკუთხედი, რომლის სამ წერტილში განლაგებულია სპორტსმენი, მწვრთნელი და ექიმი. მათი საქმიანობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფება, ისე როგორც სამკუთხედის წერტილების შემთხვევაში.

ბოლოხანს ნათელი გახდა რომ წვრთნის პროცესში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ფსიქოლოგიც, ამიტომ ეს პროცესი დღეს უკვე წარმოდგენილი უნდა იყოს ოთხკუთხედის სახით, სადაც მეოთხე წერტილში ფსიქოლოგია.

სპორტსმენი შეიძლება ღვთისგან იყოს დაჯილდოებული სპორტული მონაცემებით, მაგრამ იგი პირველ რიგში ფიზიკურად და ფსიქიკურად უნდა იყოს აბსოლუტურად ჯანმრთელი, რისი დადგენა მხოლოდ კომპლექსური და გაღრმავებული (კლინიკო-ლაბორატორიული, კლინიკო-ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური...) გამოკვლევებით მიიღწევა. მაღალი კლასის ჩვენს სპორტსმენებს კი ასეთი გამოკვლევები ყოველთვის არ უტარდებათ, რაც უაღრესად სერიოზული შეცდომაა. სპორტსმენთა ჯანმრთელობის მდგომარეობის საკითხი, ყოველთვის უნდა ახსოვდეთ მწვრთნელებსა და სპორტის ორგანიზატორებს, ამიტომ აღნიშნული მათგან ბევრად მეტ ყურადღებას მოითხოვს.

მაღალი კლასის სპორტსმენთა ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც ლაბორატორიულ (ექიმის კაბინეტში) ისე უშუალოდ წვრთნის დროს სპეციალური გამოკვლევების ჩატარებას. ამ მიზნით აუცილებელ პირობას წარმოადგენს, როგორც ერგომეტრიული გამოკვლევა, ისე სპორტულ დარბაზებში, მოედნებზე და საცურაო აუზებში ე.წ. საექიმო-პედაგოგიური დაკვირვება. პირველის შემთხვევაში ხდება სპორტსმენის ფიზიკური მუშაობის უნარის, ხოლო მეორე შემთხვევაში სხვადასხვა ფიზიკური დატვირთვის (კუნთური მუშაობის) მიმართ ორგანიზმის შეგუების უნარის შესწავლა, რის საფუძველზედაც წვრთნის მართვის პროცესში შედის სათანადო კორექტივები.

მაღალი კლასის სპორტსმენთა წვრთნის პროცესი ამავე დროს გულისხმობს მათ ფსიქოლოგიურ მომზადებას. მართალია, მწვრთნელთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ისინი მუშაობის პროცესში ერთდროულად ახორციელებენ სპორტსმენთა ფსიქოლოგიურ მომზადებას, რაშიც არ შეიძლება მათ არ დავეთანხმოთ, მაგრამ როდესაც დგება საკითხი წვრთნასთან დაკავშირებით სტრესისა და განგაშის მოხსნის თაობაზე, შესაძლებელია მწვრთნელისა და ექიმის მომზადების დონე სპორტის ფსიქოლოგიის საკითხებში არ აღმოჩნდეს საკმარისი, ამიტომ ამ პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობა აუცილებელ პირობად ითვლება.'

სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადების პრობლემა ყოველთვის დღის წესრიგში უნდა იდგეს უაღრესად საპასუხისმგებლო სპორტულ ღონისძიებებში (კონტინენტისა და მსოფლიოს ჩემპიონატები, ოლიმპიური თამაშები და სხვ.) მონაწილე სპორტსმენებთან მუშაობის დროს, რაც საჭიროა მწვრთნელებთან და სპორტის ექიმებთან მჭიდრო კავშირში ხორციელდებოდეს.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მომავალ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობასთან დაკავშირებით შეიქმნას სპეციალური ჯგუფი ჩვენი ქვეყნის წამყვანი მწვრთნელების, სპორტის ექიმების, სპორტის ფსიქოლოგების, სპორტის ორგანიზატორებისა და ჟურნალისტების შემადგენლობით, რომელიც ოლიმპიელების მომზადების პროცესს გაუწევს სათანადო დახმარებას.

**რომანოზ სვანიშვილი**
პროფესორი

მინესოტა ტიმბერვულვზი

# სადაც კობი, იქ კევინიც

## მგლების ლიდერს რთული არჩევანი აქვს გასაკეთებელი



კევინ გარნეტი

მოკლედ, ვინც ბოლო დროს საჩემპიონო ციებ-ცხელებაში ვერ ჩაება, ყველამ გუნდის გამოცვლა მოითხოვა. **კობი ბრაიანტის** წავედი-ვრჩები-წავედით ხომ დაგვღალეს, ახლა კი კიდევ ერთმა რეკლამირებულმა მეგავარსკვლავმა, "მინესოტის" ბურჯმა **კევინ გარნეტმაც** იგივე თემა წამოჭრა.

უკანასკნელად, კევინის გუნდი ფლეი ოფში 2003-04 წლების სეზონში გავიდა, იქ მაგრად იომა და რომ არა "ლეიკერსი" თავისი **შაკით, კარლ მელოუნითა** და ბრაიანტით, "მგლები" იქნებ ფინალურ სერიაშიც გასულიყვნენ.

მას შემდეგ, შეიცვალა გუნდის კონტინგენტი, სამწვრთნელო შტაბი, მთლად ზედა ეშელონებსაც შეეხო როქირება, მაგრამ არ იცვლება საბოლოო შედეგი - რეგულარულის დასრულებას "მინესოტის" მოთამაშეების შვებულებაში გასვლა მოჰყვება. ამას ვერც გარნეტის არაჩვეულებრივი სტატისტიკა ცვლის და არც ის, რომ დასავლეთში სტაბილურ ორგანიზაციებად მხოლოდ "სან ანტონიო", "დალასი" და "იუტა" რჩებიან.

გარნეტი ფორმაშია - ბოლო სეზონში, მან ერთ მატჩში საშუალოდ 22.4 ქულა, 12.8 მოხსნა (საუკეთესო მაჩვენებელი მთელ ლიგაში), 4.1 შედეგიანი გადაცემა, 1.7 დაფარება და 1.2 ჩაჭრა დააგროვა და ნაყოფიერების კოეფიციენტის მიხედვითაც საუკეთესო იყო, თუმცა გუნდის წინსვლაზე ეს არანაირად არ ასახულა და მინეაპოლისის მკვიდრნი ამჯერადაც უფლეიოფოდ დარჩნენ.

კევინს ახალი სეზონის დაწყებამდე ორი ვარიანტი აქვს: ან ხელშეკრულება თავად დაარღვიოს, ან "მინესოტაში" ისევ დარჩეს და 2008-09 წლების სეზონში, კონტრაქტით გათვალისწინებული 23 (!) მილიონი დოლარი მიიღოს.

"ვულვზის" ფანებს კევინის გაშვებაზე საუბარი, რბილად რომ ვთქვათ ალიზიანებთ. როგორც კი გუნდის გენერალურმა მენეჯერმა **ჯიმ სტეკმა** გარნეტის შესაძლო გაცვლაზე კომენტარი გააკეთა, ორგანიზაციის ოფისში მთელი დღის განმავლობაში დაახლოებით სამასმა ფანმა დარეკა და ყველამ სეზონური აბონიმენტის დაბრუნების სურვილი გამოთქვა.

გარნეტი კი დუმს. უფრო სწორად, კევინმა რეგულარულის დასრულების მერე ერთადერთხელ ისაუბრა აღნიშნულ თემაზე და გაკვრით აღნიშნა - თუ გამიშვებენ, აუცილებლად დასავლეთის რომელიმე ძლიერ გუნდშიო.

ვის და რაში დასჭირდება გარნეტი? ცხადია, მხოლოდ ფავორიტებს ვგულისხმობთ, თორემ უფლეიოფოდ კევინი "მინესოტაშიც" საკმაოდ "კომფორტულად" გრძნობს თავს.

"სპურსი"? არ გამოვა. ჯერ ერთი, კევინის პოზიციაზე **ტიმ დანკანია**. ამასთან, ტეხასელები გარნეტს სახელფასო ლიმიტის გამოც ვერ აიყვანენ. "მინესოტაში" **მანუ ჯინობილი, მაიკლ ფინლი, ფრანსისკო ელსონი** და **ბენო უდრიხი** მაინც უნდა გაუშვან, რათა გაცვლისას სახელფასო ოფციები არ დაირღვეს. "სპურსი" გამოირიცხა.

"დალასი"? არ არის გამორიცხული, თუმცა ყველაფერი მაინც **მარკ კიუბანზე** იქნება დამოკიდებული, "მავერიქსის" ბოსს კი კევინი, მაინც და მაინც, არ მოსწონს. ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ არ მოსწონს. თანაც, სახელფასო ლიმიტი ამ შემთხვევაშიც პრობლემაა, ესეც რომ არა, "დალასი" "ვულვზს" გარნეტში **დირკ ნოვიცკის** არ მისცემს, სხვა კი "მინესოტას" ნაღდად არ აინტერესებს.

"ჰიუსტონი"? ამათმა ჯერ **ბობი სურას** უსაშველო და უვარგისი კონტრაქტი უნდა მოიშორონ, რომლის მიხედვითაც, დამტვრეული გამთამაშებელი ბოლო ორი წელიწადია, არაფრისთვის სეზონში 7 მილიონ დოლარს იღებს.

"ფინიქსი"? აი, ყველაზე რეალური ვარიანტიც გამოჩნდა. არიზონელები ან **ამარე სტაუდმაიერს** გაუშვებენ ან **შონ მერიონს**, რადგანაც ორივეს (**სტივ ნეშთან** ერთად, რომლის საკითხიც საერთოდ არ განიხილება) იმავე სახელფასო ლიმიტის გამო ვერ იტოვებენ. "სანზის" მთავარი მწვრთნელი - **მაიკ დენტონი** უფროსობას სულ იმას უჩიჩინებს, ამარეს მაგივრად კევინი მომეცით და მერე ნახეთ ჩემპიონური დინასტიაო.

"მინესოტა", რომელმაც ბოლო ორი რეგულარულისას იმაზე ნაკლები მატჩი მოიგო (65), ვიდრე "დალასმა" მარტო შარშანდელ სეზონში, გარნეტის დაკარგვით ვიცე-პრეზიდენტ **კევინ მაქჰეილსაც** ვერ შეინარჩუნებს, რადგან ეს უკანასკნელი კევინის დიდი თაყვანისმცემელია და არაერთგზის უთქვამს - გარნეტის წასვლის შემთხვევაში, გუნდში არც მე დავრჩებიო. ეს ბოსებს არ ადარდებთ და მოარულ ხმებს თუ ვენდობით, მაქჰეილის ადგილზე მაშინვე თავის ყოფილ მოთამაშეს, დღეს კი გენერალური მეჯენერის ასისტენტ **ფრედ ჰოიბერგს** დანიშნავს.

"ფინიქსთან" შესაძლო გაცვლას დავუბრუნდეთ.

ამარე სტაუდმაიერი 24 წლისაა და მიუხედავად იმისა, რომ ლიდერად ჯერაც ვერ იქცა, ამ ეტაპზე მისი და ნეშის ტანდემი ლიგაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. უკანასკნელ რეგულარულში, არიზონელთა მძიმე ფორვარდის საშუალო სტატისტიკური მონაგარი 20.4 ქულა და 9.6 მოხსნა იყო. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მუხლსა და კოჭზე გადატანილი ორი უმძიმესი ოპერაციის შემდგე, ამარეს ერთი მატჩიც არ გამოუტოვებია და ფლეი ოფშიც საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა.

გარნეტი 31 წლისაა, მაგრამ მისი თამაშის სტილიდან გამომდინარე, კევინს ასაკის მატებასთან ერთად, წესით, რეგრესი მალე არ უნდა დაეწყოს. იგი ძალიან კარგად ანაწილებს ენერგიას და მინიმუმ 3 სეზონი ამ დონეზე ითამაშებს, მერე კი ვნახოთ.

"მინესოტაში" ყველაფერი გარნეტით დაიწყო და გუნდის ბოსებს დიდი სურვილი ჰქონდათ, რომ ეს ეპოქა ასევე დასრულებულიყო, მაგრამ შედეგი? მომავალზე ფიქრი?

ყველაფერი მაინც თავად გარნეტზე იქნება დამოკიდებული, რომელმაც ხელფასი რომ დაიკლოს, მისი გუნდი მინიმუმ ერთ ძალიან ძლიერ მოთამაშეს შეიძენს, "ვულვზი" ფლეი ოფში გავა და მაქსიმუმ ერთ წრეს თუ გაივლის. მერე რა, ბოლო წლების შედეგებიდან გამომდინარე, ამ ორგანიზაციისთვის ეს გმირობის ტოლფასი იქნება.

ზურაბ თალაკვაძე

# TV სპორტი

## 21 ივნისი. ხუთშაბათი

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
**14:10** ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. 1/2 ფინალი. ჰოლანდია.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:20** ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. 1/2 ფინალი. ჰოლანდია.
**19:10** საფეხბურთო კლუბი.
**19:40** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:00** უიქენდის მატჩების ანონსი.
**20:05** ტოქ-შოუ - 2:1.
**20:50** ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
**22:40** ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. მატჩი მე-5 ადგილისთვის. ჰოლანდია (LIVE).
**00:40** რუსეთის ჩემპიონატი.

### SPORT 1 (უკრაინა)

**07:00** ცურვა. Fina Mare Nostrum. მონაკო.
**09:00** სპორტინფორმი.
**09:10** აფროსნობა. ამერიკის თასი.
**09:36** ჰოკეი.
**10:03** სპორტინფორმი.
**10:13** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხიმნასტიკი-ბარსელონა.
**12:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:51** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. დემენტიევა-რეზაი. სტამბოლი. თურქეთი.
**16:00** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**16:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ნოტინგემი. ბრიტანეთი (LIVE).
**19:30** სპორტინფორმი.
**19:44** ცურვა. Fina Mare Nostrum. მონაკო.
**22:00** სპორტინფორმი.
**22:10** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**22:37** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
**00:30** სპორტინფორმი.
**00:45** კრივი. ნოკაუტების ჟამი.
**01:35** სპორტინფორმი.
**01:50** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხიმნასტიკი-ბარსელონა.
**03:35** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**04:30** ცურვა. Fina Mare Nostrum. მონაკო.
**06:50** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.

### EUROSPORT

**10:30** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
**11:00** სპიდვეი. დანიის გრან-პრი.
**12:00** პარალიმპიზმი. მსოფლიო თასი. მანჩესტერი. ბრიტანეთი.
**13:00** მულტისპორტი.
**13:30** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი.
**14:30** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
**21:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. პოლონეთი.
**22:00** სუმო.
**23:00** პროფესიული კრივი. საშუალო წონა. რ. როსელია (საფრანგეთი)-გ. აეტოვიჩი (სერბეთი). საფრანგეთი.
**01:00** ბრძოლა წესების გარეშე.
**03:00** მულტისპორტი.

### EUROSPORT-2

**09:30** ახალი ამბები.
**09:45** სერფინგი.
**10:00** ახალი ამბები.
**11:45** სერფინგი.
**12:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**13:00** მულტისპორტი.
**13:30** არმრესტლინგი.
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**15:45** ახალი ამბები.
**16:00** ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-ჩიკაგო.
**17:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**19:15** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. ფინალი. რეალი-ბარსელონა. II მატჩი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** მულტისპორტი.
**21:00** ავტოსპორტი.
**21:30** ახალი ამბები.
**21:45** სერფინგი.
**22:00** ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. სერბეთი-კუბა. სერბეთი.
**23:00** ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. არგენტინა-პოლონეთი. არგენტინა.
**00:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. ფინალი. რეალი-ბარსელონა. II მატჩი.
**02:15** ახალი ამბები.
**02:45** სერფინგი.
**03:00** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევრო 2007** | |
| **UNDER 21** | |
| 1/2 ფინალი | |
| პოლანდია-ინგლისი | 1:1, პენ. 13:12 |
| სერბეთი-ბელგია | 2:0 |
| **ნორვეგია** | |
| ბრანი-აალესუნდი | 2:1 |
| სანდეფიორდი-ფრედრიკსტადი | 2:2 |
| სტაბეკი-ვიკინგი | 2:1 |
| სტრიომსგოდსეტი-ტრომსიო | 1:2 |
| ვოლერენგა-ლინი | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ბრინი-ჰაუგესუნდი | 4:2 |
| ჰიონეფოსი-მანდალი | 2:1 |
| ლოვ ჰამი-ბოდო გლიმტი | 4:0 |
| მიოლდე-ნოტოდენი | 1:0 |
| მოსი-სკეიდი | 2:0 |
| რაუფოსი-ტრიომსდალენი | 1:2 |
| სიოგნდალი-კონგსვინგერი | 3:0 |
| სპარტა-ჰამარი | 2:4 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| სირიუსი-ნორჩეპინგი | 1:3 |
| **შვედეთის თასი** | |
| ჰაკენი-სუნდსვალი | 0:2 |
| იორგრიტე-მიალბიუ | 1:1, პენ. 2:4 |
| სკოვდე-კალმარი | 2:2, პენ. 3:4 |
| **ისლანდია** | |
| კოპავოგური-რეიკიავიკი | 2:0 |
| ვიკინგური-კეფლავიკი | 1:2 |
| ჰაფნარი-ბრეიდაბლიკი | 2:1 |
| **რუსეთი** | |
| ლოკომოტივი-ამკარი | 0:1 |
| **იაპონია** | |
| ნიიგატა-იოკოჰამა | 3:1 |
| ტოკიო-კოფუ | 2:1 |
| ივატა-ომია | 0:0 |
| კაშივა-კაშიმა | 0:1 |
| ნაგოია-შიმიცუ | 1:2 |
| ოიტა-იჩიჰარა | 0:1 |
| ჰიროშიმა-კავასაკი | 1:1 |
| ურავა-კობე | 2:0 |
| იოკოჰამა მარინოსი-გამბა | 0:0 |
| **კალათბურთი** | |
| **საბერძნეთი** | |
| **ფლეი ოფი. ფინალი** | |
| პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | 89:76 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ნოტინგემი** | |
| გროსჟანი-გარსია ლოპესი | 4:6, 3:6 |
| დელ პოტრო-კუნიცინი | 6:2, 7:5 |
| კარლოვიჩი-სიმონი | 7:6, 6:7, 6:4 |
| კლემანი-გაბაშვილი | 7:6, 3:6, 6:3 |
| ტურსუნოვი-ჰენმანი | 7:6, 3:6, 6:2 |
| გასკე-ვაცეკი | 6:4, 6:0 |
| მატიო-ლი | 7:6, 6:0 |
| ბიორკმანი-დელიჩი | 7:5, 7:6 |
| **ATP. ჰერტოგენბოში** | |
| ბენეტო-ჰაასე | 7:6, 6:3 |
| დუპუი-როიტმანი | 6:4, 7:6 |
| კანიასი-ბერერი | 6:3, 4:6, 4:6 |
| ბეკერი-ალეგრო | 6:4, 7:6 |
| ტიპსარევიჩი-დლუჰი | 6:2, 2:6, 7:5 |
| ლუბიჩიჩი-სეპი | 6:3, 6:4 |
| ვესელსი-ბერლოკი | 6:2, 7:6 |
| რობრედო-ვლიეგენი | 6:4, 6:7, 6:3 |
| **WTA. ისტბურნი** | |
| ვაიდიშოვა-ბალტაჩა | 6:3, 6:2 |
| საფაროვა-ბამერი | 6:7, 7:5, 3:6 |
| პეერი-ნაკამურა | 6:3, 6:2 |
| პეტროვა-დეში | 7:5, 7:5 |
| ანენი-რადვანსკა | 6:4, 6:1 |
| ბარტოლი-საუთი | 6:1, 6:3 |
| მორესმო-სანტანჯელო | 6:2, 6:3 |
| **WTA. ჰერტოგენბოში** | |
| ჰანტუხოვა-შონესი | 3:6, 6:3, 6:3 |
| კერბერი-ვესნინა | 6:3, 6:3 |
| საფინა-კრაიჩეკი | 6:4, 3:6, 6:4 |

კალათბურთი

## მეფეებმა მწვრთნელი იპოვნეს

როგორც სააგენტო AP იუწყება, "საკრამენტო კინგზის" ხელმძღვანელობამ პრინციპულ შეთანხმებას მიაღწია **რეჯი ტეუსთან**. სავარაუდოდ, სწორედ ეს სპეციალისტი იქნება მომავალ სეზონში "მეფეების" ახალი მთავარი მწვრთნელი.

შეგახსენებთ, რომ "საკრამენტო" დაახლოებით ორი თვის განმავლობაში ეძებდა აპრილში განთავისუფლებული **ერიკ მუსელმანის** შემცვლელს.

ტეუსს, მოთამაშის რანგში NBA-ში 13 წელიწადი აქვს გატარებული, მწვრთნელად კი ასოციაციაში არასოდეს უმუშავია.

## სტივენ ჯექსონმა დანაშაული აღიარა

"გოლდენ სტეიტ უორიორზის" ფორვარდმა **სტივენ ჯექსონმა** განაცხადა, რომ იგი პოლიციაში აღიარებითი ჩვენების მისაცემად აპირებს მისვლას. სააგენტო "როიტერის" ცნობით, ჯექსონი დამნაშავედ ცნობს თავს იარაღის უკანონო ტარებასა და გამოყენებაში.

ორი თვის წინათ, ეს კალათბურთელი პოლიციამ მას შემდეგ დააკავა, რაც მან ღამის კლუბის შესასვლელთან ცეცხლი გახსნა. ახლა, ჯექსონს ერთწლიანი პატიმრობა ელის, მაგრამ თუ სასამართლო მის აღიარებას გაითვალისწინებს, შესაძლოა, ეს სასჯელი 5 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმითა და საზოგადოებრივი სამუშაოებით შეიცვალოს.

## რებრაჩა NBA-ს ტოვებს

ცნობილი სერბი კალათბურთელი - **ჟელკო რებრაჩა** ევროპაში ბრუნდება. ამ ცენტრალურმა თავდამსხმელმა "1+1" სისტემით გააფორმა კონტრაქტი ვალენსიას "პამესასთან".

ბოლო წლებში, რებრაჩა NBA-ის კლუბის - "ლოს ანჯელეს კლიპერსის" ღირსებას იცავდა, თუმცა, ზურგის ქრონიკული ტრავმის გამო, მან მთელი შარშანდელი სეზონი გააცდინა.

## ნენე ნაკრებში დაბრუნდა

ოთხწლიანი შესვენების შემდეგ, ბრაზილიის ნაკრებში დაბრუნება გადაწყვიტა "დენვერ ნაგეტსის" ფორვარდმა **ნენე ილარიომ**.

ეს კალათბურთელი მონაწილეობას მიიღებს პეკინის ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირში, რომელიც აგვისტოს ბოლოს ლას ვეგასში დაიწყება.

*"მე მოველაპარაკე ოჯახსა და გუნდის ხელმძღვანელობას და გადავწყვიტე, რომ დაბრუნების დრო დადგა. მინდა ნაკრებს ოლიმპიადის საგზურის მოპოვებაში დავეხმარო"*, - აცხადებს "დენვერის" მოთამაშე.

ნენე ბრაზილიის ნაკრებში ქვეყნის კალათბურთის კონფედერაციასთან, კონფლიქტის გამო არ თამაშობდა. ამ ორგანიზაციამ ილარიოს კუთვნილი ჰონორარი არ გადაუხადა. *"ახლა ძველი ცოდვების გახსენების დრო არ არის. ყველაფერი წარსულში დარჩა"*, - ასეთია ნენე ილარიოს პოზიცია.

შეგახსენებთ, რომ საკვალიფიკაციო ტურნირის ორი უძლიერესი გუნდი პირდაპირ მოხვდება პეკინის თამაშებზე.

ჰოკეი

## მაკამონდს ოტავაში დარჩენა უნდა

გაზეთ Ottawa Sun-ის ინფორმაციით, "ოტავა სენატორზის" ფორვარდი - **დინ მაკამონდი** კლუბთან ახალი, ორწლიანი კონტრაქტის გაფორმებას დათანხმდა. თუმცა, ამ ჰოკეისტთან მიმართებაში, საბოლოო სიტყვა "სენატორების" გენერალურ მენეჯერს **ბრაიან მიურეის** ეკუთვნის.

მაკამონდი NHL-ში 1991 წლიდან თამაშობს, "ოტავაში" კი , გასული სეზონის წინ მივიდა. რეგულარული ჩემპიონატის 81 მატჩში, ფორვარდმა 14 გოლი გაიტანა და 15 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. ფლეი ოფში კი, მისი მონაგარი 5 გოლსა და 3 პასს შეადგენდა.

## დათვებს ყოფილი ეშმაკი გაწვრთნის

კანადური ტელეარხი TSN, სანდო წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ "ბოსტონ ბრუინზმა" მთავარ მწვრთნელად **კლოდ ჟულიენი** მიიწვია. სწორედ ეს სპეციალისტი შეცვლის ამ ცოტა ხნის წინათ პოსტიდან განთავისუფლებულ **დეივ ლუისს**. ჟულიენის ოფიციალური წარდგენა ხვალ გაიმართება.

"ბოსტონის" ახალი დამრიგებელი გასულ წელს "ნიუ ჯერსი დევილზში" მუშაობდა, მაგრამ 3 აპრილს, "ეშმაკების" გენერალურმა მენეჯერმა **ლუ ლამორელომ** მოულოდნელად გაათავისუფლა თანამდებობიდან. "დევილზამდე" 47 წლის ჟულიენი სამი წელინადი "მონრეალ კანადიენსს" წვრთნიდა.

ამასობაში, "ბოსტონის" ხელმძღვანელობამ ერთწლიანი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა მარჯვენა გარემარბ **ბრენდონ ბოჩენსკისთან**. სააგენტო "როიტერის" ცნობით, ამ ხელშეკრულების ფინანსური დეტალები არ ხმაურდება.

25 წლის ბოჩენსკი "ბოსტონში" "ჩიკაგოდან" გადავიდა. გასულ სეზონში მან 31 მატჩი ჩაატარა, 11 გოლი გაიტანა და ამდენივე შედეგიანი პასი გააკეთა.

მძლეოსნობა

## გრინი ისევ ტრავმირებულია

ცნობილი ამერიკელი სპრინტერი მორის გრინი, ფეხის ტრავმის გამო, ვერ მიიღებს მონაწილეობას აშშ-ის ჩემპიონატში, რომელიც ამ კვირას ინდიანაპოლისში გაიმართება.

*"როგორც იქნა, ერთ ფეხზე ტრავმა მოვირჩინე, ვარჯიშებიც განვაახლე, მაგრამ ახლა მეორე ფეხი დამიზიანდა და კვლავ პაუზის აღება მომიწევს"*, - განაცხადა 100 მეტრზე სირბილში მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

32 წლის გრინს, ტერფის ტრავმის გამო, ორი წელიწადია მონაწილეობა არ მიუღია საერთაშორისო ტურნირებში. ის დიდ იმედებს ამყარებდა ამერიკის ჩემპიონატზე და ამ შეჯიბრის შემდეგ, აშშ-ის ნაკრებში დაბრუნებასაც ვარაუდობდა.

წლეულს, გრინი ერთხელ გავიდა სარბენ ბილიკზე. Adidas Track Classic-ზე ის ბოლო მივიდა ფინიშზე შედეგით - 10.84 წამი.

ფორმულა 1

## ჰემილტონის კარტი აუქციონზე გაიყიდა

ტელეკომპანია BBC-ის ცნობით, გუშინ საქველმოქმედო ინტერნეტ-აუქციონი გაიმართა. გასაყიდად გამოტანილი იყო კარტინგის კლასის მანქანა, რომელიც ფორმულა 1-ის წლევანდელი სეზონის ლიდერს **ლუის ჰემილტონს** ეკუთვნოდა.

საბოლოოდ, მანქანა, რომლითაც ბრიტანელი 8 წლის ასაკში ავტოსპორტში კარიერას იწყებდა, 42 100 ფუნტ სტერლინგად გაიყიდა.

## ჟენე ტორო როსოს მიუჯდება

ცნობილი გახდა, რომ მომავალ სეზონში, ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე გუნდი - "ტორო როსო" "ფერარის" შასისა და ძრავას გამოიყენებს, მისი ერთ-ერთი საპრიზო პილოტი კი, "სკუდერიას" ტესტ-დრაივერი **მარკ ჟენე** იქნება.

ეს ესპანელი ბოლოს ტრასაზე 2004 წლის ივლისში გავიდა, როცა საფრანგეთისა და ინგლისის ეტაპებზე, "უილიამსის" ტრავმირებული პილოტი **რალფ შუმახერი** შეცვალა.

ჩოგბურთი

## კორიამ სასამართლოში იჩივლა

ნიუ ჯერსის შტატში სასამართო პროცესი დაიწყო, რომელშიც მსოფლიოს ყოფილი მესამე ჩოგანი, 25 წლის არგენტინელი **გილერმო კორია** მონაწილეობს.

საფრანგეთის ღია პირველობის ყოფილი ფინალისტი 2001 წლის ივლისში, აკრძალული პრეპარატის მიღებაში ამხილეს. მოგვიანებით ჩატარებულმა სპეციალურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ კორიას ორგანიზმში დოპინგი ამერიკული კომპანია Universal Nutrition-ის მიერ წარმოებული მულტი-ვიტამინის მიღების შემდეგ მოხვდა. ახლა, არგენტინელი ჩოგბურთელი ამ კომპანიას მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 10 მილიონ დოლარს სთხოვს.

ველოსპორტი

## 2009 წლის ტური მონაკოში დაიწყება

პირველად პრესტიჟული "ტურ დე ფრანსის" ისტორიაში, ველოტური სტარტს მონაკოს ქუჩებიდან აიღებს.

ორგანიზატორების განცხადებით, 2009 წლის რბოლის პროლოგი მონტე კარლოში გაიმართება. ეს იქნება დროზე ინდივიდუალური რბოლა, რომლის სიგრძეც 15.2 კილომეტრს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელი "ტურ დე ფრანსის" პირველი ეტაპი ლონდონში ჩატარდება.

## გონჩარი უგუნდოდ დარჩა

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი **სერგეი გონჩარი**, გერმანულმა საჯინიბომ - "T-მობილემ" საკუთარი რიგებიდან გარიცხა.

*"გონჩარმა გუნდის წევრთა ქცევის კოდექსი დაარღვია. ჩვენ პატივს ვცემთ სპორტსმენის უფლებას კონფიდენციალობის შესახებ და ამიტომაც, ჯერჯერობით არ გამოვაქვეყნებთ შიდა გამოძიების შედეგებს"*, - ამბობს გუნდის მენეჯერი **ბობ სტეპლტონი**.

უკრაინელი ველომრბოლი შარშან, "ტურ დე ფრანსის" ორი ეტაპის გამარჯვებული გახდა, წლეულს, ის სისხლის ანალიზის პრობლემების გამო, 11 მაისიდან საერთაშორისო რბოლებს ჩამოაცილეს.

კალათბურთი

რეფორმა

## ULEB-ის თასი ორჯერ გაიზარდა

გუშინ, ევროპული საკალათბურთო ლიგების კავშირმა (ULEB) პრინციპული გადაწყვეტილება მიიღო. კერძოდ, მომავალი სეზონიდან ULEB-ის თასზე, 24-ის ნაცვლად 48 კლუბი მიიღებს მონაწილეობას. ამ ტურნირის ოფიციალურ ვებგვერდზე წერია, რომ ახალ სეზონში თასისთვის ბრძოლას შემდეგი ქვეყნები დაემატებიან: ავსტრია, ხორვატია, ჩეხეთი, ინგლისი, ესტონეთი, ჩერნოგორია, პორტუგალია, შვეიცარია და უკრაინა.

სულ კი, ULEB-ის თასზე 24 ქვეყნის გუნდები მიიღებენ მონაწილეობას (შარშან, პრესტიჟულობის მიხედვით ევროპის მეორე საკლუბო ტურნირში ბელგიის, ბულგარეთის, საფრანგეთის, გერმანიის, საბერძნეთის, ისრაელის, იტალიის, ლატვიის, ლიტვია, ჰოლანდიის, პოლონეთის, რუსეთის, სერბეთის, ესპანეთისა და თურქეთის კლუბები თამაშობდნენ).

2007-08 წლების ULEB-ის თასის საბოლოო შემადგენლობა და ჩატარების ფორმატი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

ჰოკეი

## ნიდერმაიერი მიდის?

"ანაჰაიმ დაქსის" კაპიტანმა - **სკოტ ნიდერმაიერმა**, შესაძლოა უახლოეს დღეებში კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთოს - იუწყება ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალური ვებ-გვერდი.

*"სკოტმა მიგვანიშნა, რომ ის კარიერის დამთავრებაზე სერიოზულად ფიქრობს"*, - აცხადებს "იხვების" გენერალური მენეჯერი **ბრაიან ბურკი**. ამ უკანასკნელის სიტყვებით, ის ჰოკეისტს ამ დღეებში შეხვდა და მასთან საუბრისას, სწორედ ასეთი დასკვნა გამოიტანა.

წლეულს, ნიდერმაიერმა კარიერაში მეოთხედ მოიპოვა სტენლის თასი და ამასთან, ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშედაც დასახელდა.



სკოტ ნიდერმაიერი

რაგბი

დანიშვნა

## მამლების მწვრთნელი მთავრობაში წავიდა

საფრანგეთის ნაკრების დამრიგებელი - **ბერნარ ლაპორტი** სამთავრობო სტრუქტურაში გადადის სამუშაოდ. კერძოდ, ეს მწვრთნელი გუშინ საფრანგეთის სპორტის სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე დაინიშნა.

როგორც "ეკიპი" იტყობინება, ლაპორტი თავისი მოვალეობების შესრულებას ოქტომბერში შეუდგება, მანამდე კი, ის საფრანგეთის ნაკრებს მსოფლიო თასზე უხელმძღვანელებს.

ჩოგბურთი

ტურნირები

### ATP

#### Ordina Open

ჰერტოგენბოში (ჰოლანდია). ბალახი
**საპრიზო ფონდი**: 353 450 ევრო

#### I წრე

**მიხაელ ბერერი (გერ)**-დიეგო ჰარტფილდი (არგ) 6:3, 6:0; **გილერმო კანიასი (არგ, 3)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 7:6(5), 7:5; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-მარკ ჟიკელი (სერ, 8) 6:4, 6:2; **კარლოს ბერლოკი (არგ)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 5) 2:6, 6:3, 6:2; **სერხიო როიტმანი (არგ)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 7) 6:2 კოლშრაიბერის უარი; **ტომი რობრედო (ესპ, 1)**-მიშელ კონინგი (ჰოლ) 6:4, 7:6(4); **ლუკაშ დლუჰი (ჩეხ)**-დანაი უდომჩოკე (ტაილ) 4:6, 6:3, 6:4; **ჟულიენ ბენეტო (საფ)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 6) 6:4, 6:4; **ივ ალეგრო (შვეიც)**-კრისტიან პლესი (შვეიც) 7:6(4), 3:6, 6:4.

#### ნოტინგემის ღია

ნოტინგემი (ინგლისი). ბალახი
**საპრიზო ფონდი**: 323 050 ევრო

#### I წრე

**დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 2)**-რობერტ კენდრიკი (აშშ) 6:1, 6:4; **იგორ კუნიცინი (რუს)**-აგუსტინ კალერი (არგ, 3) 7:6(8), 3:6, 6:4; **იონას ბიორკმანი (შვედ, 4)**-რიჩარდ ბლუმფილდი (ბრიტ) 6:2, 6:0; **პოლ-ანრი მატიო (საფ, 6)**-რობი ჯინეპრი (აშშ) 6:3, 6:4; **ივო კარლოვიჩი (ხორ)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) 6:3, 7:6(3); **არნო კლემანი (საფ, 8)**-ტომას იოჰანსონი (შვედ) 7:5, 6:2; **ხუან დელ პოტრო (არგ)**-ჯეიმი ბეიკერი (ბრიტ) 6:4, 6:2; **თეიმურაზ გაბაშვილი (რუს)**-ჯოშუა გუდელი (ბრიტ) 7:5, 6:3; **ამერ დელიჩი (აშშ)**-ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:4, 6:4; **გილერმო გარსია ლოპესი (ესპ)**-ალექს ბოგდანოვიჩი (ბრიტ) 6:4, 7:6(13); **ტიმ ჰენმანი (ბრიტ)**-მაიკლ რასელი (აშშ) 6:1, 7:6(5); **ირჟი ვანეკი (ჩეხ)**-ნიკოლას ლაპენტი (ეკვ) 7:6(1), 6:3; **ჰიუნ-ტაიკ ლი (კორ)**-მაქს მირნი (ბლრ) 6:4, 4:6, 6:4.

### WTA

#### International Women's Open

ისტბურნი (ინგლისი). ბალახი
**საპრიზო ფონდი**: 600 000 დოლარი

#### I წრე

**შაარ პეერი (ისრ, 6)**-ელენა ლიხოვცევა (რუს) 6:2, 5:7, 6:4; **მარიონ ბარტოლი (საფ, 8)**-ტატიანა გარბინი (იტა) 6:2, 6:3; **სიბილ ბამერი (ავსტრია, 9)**-მარია კირილენკო (რუს) 6:2, 6:3; **ნატალი დეში (საფ)**-აკიკო მორიგამი (იაპ) 6:4, 2:6, 6:3; **მარა სატანჯელო (იტა)**-აი სუგიამა (იაპ) 7:6(3), 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:2, 5:7, 6:0; **აიკო ნაკამურა (იაპ)**-არავან რეზაი (საფ) 6:1, 6:4; **კეტი ო'ბრაიენი (ბრიტ)**-ვასილისა ბარდინა (რუს) 7:5, 6:3; **ელენა ბალტაჩა (ბრიტ)**-ენ კელტავონგი (ბრიტ) 6:2, 2:6, 7:6(5).

#### Ordina Open

ჰერტოგენბოში (ჰოლანდია). ბალახი
**საპრიზო ფონდი**: 175 000 დოლარი

#### I წრე

**დინარა საფინა (რუს, 4)**-კამილ პინი (საფ) 6:3, 5:7, 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 5)**-ოლგა პუჩკოვა (რუს) 6:2, 6:1; **მეილინ ტუ (აშშ)**-კაია კანეპი (ესტ) 5:7, 6:2, 7:5; **ანჟელიკ კერბერი (გერ)**-იუნ იან ჩანი (ტაივ) 3:6, 6:3, 6:4.

#### 1/8 ფინალი

**ანა ივანოვიჩი (სერ, 2)**-ელენი დანილიდუ (საბ) 7:6 (4), 6:2; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 3)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა) 6:4, 7:6 (3); **ალიონა ბონდარენკო (უკრ, 8)**-რობერტა ვინჩი (იტა) 7:6 (4), 6:3; **ფლავია პენეტა (იტა)**-ტატიანა მალეკი (გერ) 6:0, 6:4.


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძოლიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, გზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვემაპიძე, ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა